საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 4 სექტემბერი, 2014 წელი.

№178 (7559)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვგმობთ აგრესიას სუვერენული უკრაინის მიმართ!

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა მესამე დოკუმენტი მიიღო. რეზოლუციას 81-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

რეზოლუციაში საქართველოს პარლამენტი გმობს სუვერენული უკრაინის მიმართ განხორციელებულ აგრესიას და რუსეთის ფედერაციას მოუწოდებს, უარი თქვას ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის უთანხმოების ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის მცდელობაზე.

საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია შემდეგი შინაარსისაა:

„საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ თავის 2014 წლის 23 იანვრის განცხადებასა და 2014 წლის 6 მარტის რეზოლუციაში ჩამოყალიბებულ მიდგომებზე.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორი სახელმწიფოების მონაცემებით, რუსეთი არა თუ მხარს უჭერს, წვრთნის, აიარაღებს და აფინანსებს უკრაინის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში მოქმედ სეპარატისტულ ძალებს, არამედ დაუფარავ სამხედრო აგრესიას ახორციელებს მეზობელი, სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

აშკარაა დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისა და ორ სახელმწიფოს შორის ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების პერსპექტივა, რაც საფრთხეს უქმნის რეგიონალურ, ისევე, როგორც საერთაშორისო მშვიდობას და სტაბილურობას.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია მზარდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, უსახლკაროდ დარჩენილთა რაოდენობისა და დევნილთა ნაკადის ზრდა.

მიუხედავად საერთაშორისო დონეზე მიღებული გამაფრთხილებელი მოწოდებების და სხვადასხვა ფორმატში წარმოებული მოლაპარაკებებისა, რუსეთი არღვევს საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლის ნორმებს და პრინციპებს, როგორც ეს საქართველოსთან მიმართებაში დღემდე ხორციელდება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტი:

1. კიდევ ერთხელ უცხადებს სოლიდარობას უკრაინის ხელისუფლებასა და ხალხს. ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

2. სრულად უჭერს მხარს საქართველოს მთავრობის მიერ გამოხატულ პოზიციას უკრაინაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და მის ძალისხმევას უკრაინის დასახმარებლად.

3. გმობს აგრესიას სუვერენული უკრაინის მიმართ, რაც არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, არამედ შეუქცევადს ხდის საომარი მოქმედებების ესკალაციის პროცესს, რაც კატასტროფულ შედეგებს მოუტანს საერთო ევროპულ უსაფრთხოებას. განაპირობებს ჰუმანიტარულ კრიზისს და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევას.

4. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, უარი თქვას ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის უთანხმოების ძალისმიერი მეთოდით გადაჭრის მცდელობაზე და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობას, ისევე, როგორც უკრაინის ხელისუფლების ძალისხმევას კრიზისის მოლაპარაკების გზით დაძლევის უზრუნველსაყოფად.

5. მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებებისა და აგრესიის შეჩერების, დაძაბულობის დეესკალაციისა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების მიზნით.

6. მოუწოდებს ნატოსა და ევროკავშირს, მიიღოს ეფექტური ზომები როგორც უკრაინის, ასევე საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკის უსაფრთხოების გაძლიერების და ამ მიზნით ერთიან ევროატლანტიკურ სისტემაში ინტეგრაციის დაჩქარებისთვის.

რეზოლუცია მმართველმა გუნდმა მოამზადა. პარლამენტს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეზოლუციის ალტერნატიული ვარიანტი შესთავაზა, თუმცა ის კენჭისყრაზე არ დამდგარა, რადგან ბიუროზე არ იყო რეგისტრირებული. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღნიშნული დოკუმენტის მხადაჭერისგან თავი შეიკავა.

ვითარება

სამეფო კარის დაპირისპირება, ფაქტობრივად, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და ნელ-ნელა უახლოვდება იმ ზღვარს, როდესაც ჯერ კიდევ მოზომილი განცხადებები აშკარა კონფრონტაციად გადაიქცევა.

ჩვენ კი დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, თუ როგორი კლიმატი იქნება საქართველოში კლიმატის ცვლილებების სამიტის დამთავრების შემდეგ.

3

დანიშნული კარგი შემსრულებელი არჩეული ნარუმატებლის წინააღმდეგ

ხაზინის მახრა

„სააკაშვილმა ჭინჭები მოგვიყარა და ასევე ბიუჯეტით ნაყიდ საათებს არ აბრუნებს?“

საათები დააბრუნოს! უყვარს ხომ ათი ათასდოლარიანი ბრჭყვიალა საათები? რატომ არ აბრუნებს? ენანება ხომ? ეძვირფასება? ნაძირალა სააკაშვილმა საათები ჩვენს ხარჯზე შეიძინა, რომლებიც ახლა ათიათასობით ლარი ღირს. თანაც როდის იყიდა! თბილისში წყალდიდობა რომ იყო და ბავშვები დაიღუპნენ, მეორე დღეს სააკაშვილი მილანში შოპინგობდა.

4

ბაქრაძე არის ხაზინის ქურდი. სახლი 2002 წელს გაყიდეს და ფული მუთაქაში შეინახეს? მუთაქის ერთი მხარიდან ფულს ბაქრაძე ტენიდა და მეორედან სიმამრი? ახლა გაახსენდათ ეს მუთაქა, სადაც 800 ათასი დოლარი ჰქონდათ შენახული? ბაქრაძე ზეგალაქტიკური მოვლენაა.

◎ გახსოვდეთ, აფხაზეთი!

მკვდრეთით აღმდგარი პაიკის პირველი მუქარა!

ახლა, როცა მსოფლიოს ყურადღება რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებისკენაა მიმართული, რომელიც შეიარაღებული დაპირისპირებიდან, შესაძლოა, ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს, ამიერკავკასიის ისეთი პატარა რეგი-

ონი, როგორიც ჩვენი ძირძველი მიწა და ამჟამად რუსეთისაგან ოკუპირებული აფხაზეთია, უჩუმრად იბრძვის ახალი მსოფლიო რუკაზე დამკვიდრებისთვის და, შესაძლოა, ამღვრეულ წყალში მიზანსაც მიაღწიოს. სულ ორიოდე დღის წინათ არჩეული დე ფაქტო რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტი (უფრო სწორად რუსეთის მიერ ხელდასხმული) რაულ ხაჯიმბა ჯერ მკვდრად გამოაცხადეს, შემდეგ მკვდრეთით აღადგინეს და დიდ პოლიტიკაშიც ჩართეს. მავანი იტყვის, ამხელა პოლიტიკაში პაიკია ბატონი ხაჯიმბაო, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ პაიკი კარგი მოჭადრაკის ხელში აუცილებლად ნებისმიერ მძიმეწონიან ფიგურად გადაიქცევა.

გახდება ხაჯიმბას ხელში აფხაზეთი რუსეთ-თურქეთ-საქართველოს შორის განხეთქილების ვაშლი? ეს დამოკიდებულია პუტინ-ერდოღანის პოლიტიკურ სიძლიერეზე. რვა-ასიათასიან აფხაზურ დიასპორიან თურქეთს თავისი მიზნები და ინტერესები აქვს აფხაზეთის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას კატეგორიულად უარყოფს და მას საქართველოს ერთიან ნაწილად გახილავს. რუსეთს რომ თავისი ინტერესები აქვს, ეს ყველასთვის ცნობილია, არც აფხაზეთის ოკუპაციის ფაქტს უარყოფს და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაც მისი ინიციატივაა.

რა პოზიციას დაიკავებენ ისინი აფხაზეთის გაყოფა-დანაწევრების საქმეში, ამას ჩვენთვის არავითარი სასიკეთო მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორი ზესახელმწიფო ამ საკითხს რომ ჩვენს სასარგებლოდ არ გადაწყვეტს, ეს არახალია. აქლემების ჭიდილში რომ კოზაკი იჭყლიტება, ესეც ძველია. მოკლედ, საწამ ჩვენი პოლიტიკოსები იმაზე ამტვრევენ თავპირს, როგორ დაეხმარონ მეზობელ უკრაინას, აგერ თვალსა და ხელს შუა ისედაც დაკარგული ძირძველი ქართული მიწა სამუდამოდ გვეკარგება.

რაც შეეხება მკვდრეთით აღმდგარ ხაჯიმბას, მან თავისი პოლიტიკური კარიერა პრეზიდენტის რანგში ჩვენი გაფრთხილებით დაიწყო — აღიარეთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერეთ ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტსო.

აი ასე!

ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა გამოცდილი ერდოღანისა და პუტინის ხელში პაიკი ხაჯიმბა მძიმეწონიან ფიგურად არ გადაიქცეს პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე.

მამუკა ვაშაკიძე

◎ ინფორმაცია

საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში“ საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა და 4,2 ქულით 72-ე ადგილიდან 69-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. ამის შესახებ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ ანგარიშშია ნათქვამი.

„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ სტრუქტურას 12 კომპონენტი შეადგენს, რომლებიც სამ ძირითად ბლოკად იყოფა: 1. ძირითადი მოთხოვნები — ინსტიტუტების არსებობა, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, პირველადი განათლება და ჯანდაცვა; 2. ე.წ. ეფექტიანობის კატალიზატორები — უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზარი, ფინანსური ბაზრის ეფექტიანობა, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის ზომა; 3. ინოვაციური ფაქტორები — ბიზნესის წარმოების დახვეწილობა და ინოვაცია.

ძირითად მოთხოვნებში საქართველოს პოზიცია 9 საფეხურით გაუმჯობესდა და 57-ე ადგილიდან 48-ე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეფექტურობის მასტიმულირებელ ფაქტორში საქართველო 79-ე პოზიციაზეა, ინოვაციური ფაქტორების მაჩვენებელში კი — 118-ე პოზიციაზე.

დაბალპროცენტიანი სესხები თბილისის მერიისთვის

სახელმწიფო სესხებს არ გამოყოფს, — ასე პასუხობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იღებს თბილისის მერია სესხს კომერციული ბანკებისგან.

— ცენტრალური ბიუჯეტი დაიგეგმა შარშან და მივიღეთ დეკემბერში, ცხადია, ის არ ითვალისწინებს თბილისისთვის დამატებითი თანხების გამოყოფას. თბილისის ბიუჯეტი წელს არის უპრეცედენტოდ მაღალი, ეს მოხდა შიდა შემოსავლების ზრდის ხარჯზე. მინდა, შევახსენო თბილისის ყოფილ ხელმძღვანელობას, რომელიც დღეს გულზე მჯიღის ცემით ამბობს, რომ 6 თვის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში შეასრულეს — თბილისის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს, ისე როგორც საქართველოს ყველა ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მობილიზებას ახდენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, ხოლო თბილისის ყოფილმა ხელმძღვანელობამ სოციალური პროექტები პრაქტიკულად ისე ამოწურა, რომ ახალ მენეჯმენტს არ დარჩა ფინანსები და იძულებული გახდა, სხვა ალტერანტიული გზები გამოეძებნა. სახელმწიფო სესხებს არ გამოყოფს, სახელმწიფო სესხს ნამდვილად ვერ გამოუყოფს ვერავის, მათ შორის — ვერც ადგილობრივ ბიუჯეტს. ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხმობით მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტისთვის სესხის აღება და ესეც მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში. სახელმწიფო ბიუჯეტს გაწერილი აქვს ყველა ხარჯი და არ ითვალისწინებს დამატებითი რესურსის გამოყოფას

რომელიმე სხვა ბიუჯეტისთვის. ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია თბილისის მერიასთან, საკრებულოსთან და მინდა, დაგაარწმუნოთ, რომ თბილისის და სახელმწიფოს ბიუჯეტის თითოეული ლარი დაიხარჯება მხოლოდ მიზნობრივად, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება სესხის საპროცენტო განაკვეთს, ნოდარ ხადურის განმარტებით, ის საბაზროზე დაბალი იქნება.

რაც შეეხება ოპონენტების შეფასებას, რომ თბილისის მერია კომერციული ბანკებისგან სესხს ცენტრალურ ბიუჯეტში არსებული პრობლემების გამო იღებს, ფინანსთა მინისტრი აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს. ნოდარ ხადურის მტკიცებით, სახელმწიფო ბიუჯეტში არანაირი პრობლემა არ არის. „8 თვის ბიუჯეტი შესრულებულია და არის გადაჭარბება, ასევე შესრულდება 9, 10, 11 და 12 თვის ბიუჯეტი, — განაცხადა ხადურმა.

მერიის მაღალჩინოსნების პრემიებს ნარმანია გაასაჯაროებს

მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ მაღალი პრემიების მიღების შესახებ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია უახლოეს დღეებში ინფორმაციას წარმოადგენს. ამის შესახებ დავით ნარმანიამ გუშინ, თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

დედაქალაქის მერი მერიის მიერ ბიუჯეტისთვის 30 მილიონი ლარის სესხის აღების საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილები ობიექტურად აუცილებელი იყო.

კერძოდ, ნარმანიას თქმით, ბიუჯეტში ასახული არ იყო ახალგაზრდული ოლიმპიადისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისათვის თანხები, რომელთა მშენებლობის ვალდებულება დედაქალაქს აღებული აქვს.

დავით ნარმანიამ იმედი გამოთქვა, რომ შესაძლოა, სესხის აღება დედაქალაქის მერიას არ დასჭირდეს ტენდერების ეკონომიის ხარჯზე. ნარმანიას განცხადებით, ბიუჯეტში ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებისათვის თანხები პრაქტიკულად გახარჯულია. თბილისის მერმა მოუწოდა მთავრობის წევრებს, წლის ბოლომდე ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში „ქამრები შემოიჭიროონ“.

ნარმანიამ მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ მაღალი პრემიების აღების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს, რომლებიც დღეს საკრებულოს დეპუტატები არიან, არ აქვთ მორალური უფლება, ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთონ. ნარმანიას თქმით, მათ ყოველთვიურად აღებული აქვთ არარეალური პრემიები, ზოგჯერ თვეში 10 000 ლარი. ნარმანიას თქმით, 3 000-4 000 ლარის პრემია თვეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

„ამ ადამიანებს არ აქვთ მორალური უფლება, რომ ჩვენ გვაკრიტიკონ, თითქოს არ გვაქვს ბიუჯეტის შესრულების თავი“, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.

◎ SIC!

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის დარღვევაზე ფულადი ჯარიმები წესდება

ქართული ენის დაცვის მიზნით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი და სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია იქმნება, ასევე სახელმწიფო ენის საკანონმდებლო ნორმების დარღვევაზე ფულადი სანქციები წესდება. შესაბამისი ცვლილებები — „სახელმწიფო ენის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებში შედის, რომელთა ავტორიც ენათმეცნიერებისა და იურისტების ჯგუფია, ხოლო ინიციატორი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი.

პროექტი, რომლის ინიცირებაც უკვე მოხდა, განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს, მისი დაცვის გარანტიებს, სახელმწიფო და სხვა ენის გამოყენების თავისებურებებს, განათლების ენის არჩევის შესაძლებლობას, სახელმწიფო ენის გამოყენების პრინციპებსა და ამ ნორმების დარღვევისთვის განკუთვნილ ჯარიმებს.

ცვლილებების მიხედვით, სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედ კომისიას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, რომელიც ნიშნავს კომისიის თანათავმჯდომარეს და წევრებს. თავად კომისია კი, სალიტერატურო ენის ნორმებს ადგენს, რომელსაც საქართველოს მთავრობა ამტკიცებს.

ამასთანავე, სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი კომისია მოამზადებს სახელმწიფო ენის პროგრამას, რომელიც იქნება სახელმწიფო ენის განვითარების, ნორმალიზაციისა და სტანდარტების ძირითად მიმართულებათა განმსაზღვრელი ერთიანი დოკუმენტი.

თავის მხრივ, კომისიის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომელიც 50 თანამშრომლით დაკომპლექტდება და ანგარიშვალდებული იქნება პრემიერ-მინისტრის წინაშე.

კანონპროექტით, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი და საზედამხედველო დაწესებულება იქნება და რომელიც, კანონის ნორმების დამრღვევ პირს ფულად ჯარიმებს დაუწესებს.

ასე მაგალითად, **პროექტის გათვალისწინებით, არასახელმწიფოენოვანი სასაქონლო ნიშნების გამოყენება ქართულენოვანი დაწერილობით (ტრანსლიტერაციით) უნდა მოხდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ მოხდა, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილი იქნება, შესაბამის პირებს 100-დან 300 ლარამდე ჯარიმა დააკისროს.**

ინიციატივით, **დაჯარიმების შემდეგ, თუ დამრღვევი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას გააგრძელებს, ან ერთი წლის მანძილზე მეორედ ჩაიდენს, ის 300-დან 500 ლარამდე დაჯარიმდება.**

ზემოთ აღნიშნული სანქციები გავრცელდება ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი წარწერები წარმოდგენილი არ იქნება სახელმწიფო ენაზე და ასევე, როდესაც, არასახელმწიფოენოვანი ტექსტის სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ტექსტთან ერთად გამოყენებისას, არასახელმწიფოენოვანი შრიფტი ზომით აღემატება სახელმწიფო ენაზე შესრულებულ შრიფტს.

ამას გარდა, კანონპროექტით, სახელმწიფოენოვანთან ერთად არასახელმწიფო ენაზე შესრულებული სარეკლამო განცხადების

გამოყენებისას, სახელმწიფოენოვანი ვერსია უნდა იყოს უფრო მკაფიოდ გამოხატული, წასაკითხი და მოსასმენი, მაგრამ, თუ ეს ნორმა გათვალისწინებული არ იქნება, ქმედება გამოიწვევს ჯარიმას 200-დან 500 ლარამდე. დაჯარიმების შემდეგ კი, იგივე ქმედების გაგრძელება ან წლის განმავლობაში მეორედ ჩადენა გამოიწვევს 500-დან 1000 ლარამდე ჯარიმას.

პროექტის მიხედვით, დაჯარიმების შემდეგ გადაწყვეტილება მოტივებისა და საფუძვლების მითითებით, დამრღვევს შვიდი დღის ვადაში წერილობით ეცობება და ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღსრულებას აღსრულების ეროვნული ბიურო უზრუნველყოფს. ამასთანავე, თუ ერთი წლის განმავლობაში, მეორედ დაჯარიმების შემდეგ, გონივრულ ვადაში დარღვევა არ აღმოიფხვრება, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი უფლებამოსილია, სასამართლოს მიმართოს უკანონოდ განლაგებული წარწერის დემონტაჟის მოთხოვნით. დემონტაჟისთვის აუცილებელი თანხა კი, დამრღვევს ეკისრება.

თავის მხრივ, ჯარიმის ან გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებით, საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილი განცხადების, შეტყობინების, სასათაურო წარწერის, პლაკატის, აბრის, აფიშის, რეკლამის და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ტექსტები სრულდება სახელმწიფო ენაზე.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, პროექტით, მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომლებიც მაუწყებლობენ სახელმწიფო ენაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს არასახელმწიფო ენებიც, მაგრამ ტელე-რადიომაუწყებლობის საეთერო დროის არაუმეტეს 10 პროცენტისა.

საპარლამენტო კომიტეტებში აღნიშნული კანონპროექტის განხილვა საშემოდგომო სესიაზე დაიწყება და ავტორებს იმის დასაბუთებაც მოუწევთ, ერთი მლნ ლარი, რომლის გამოყოფასაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შექმნისთვის ითხოვენ, რაში სჭირდებათ.

ამასთანავე, უკვე ცნობილია, რომ პროექტი ექსპერტიზისთვის ვენეციის კომისიაში გაიგზავნა, საიდანაც პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშილის ინფორმაციით, მოსულია დაწვრილებითი დასკვნა. მისი ცნობით, განხილვისას საშუალება იქნება, რომ საერთაშორისო, კომპეტენტური ექსპერტების მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნას.

თეონა მანაგაძე

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲛᲔᲤᲝ **კარის დაპირისპირება, ფაქტობრივად, გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და ნელ-ნელა უახლოვდება იმ ზღვარს, როდესაც ჯერ კიდევ მოზომილი განცხადებები აშკარა კონფრონტაციად გადაიქცევა.**

რა მოხდა ყოფილი პრემიერის ორ ფავორიტს (არ ვამბობ „ერთი გუნდის წევრებს“) შორის, რამ გამოიწვია მათი ბავშვურ კინკლაობამდე მისული დაპირისპირება, რომელიც ნამდვილად არ წაადგება არც ქვეყნის, არც მმართველი ძალის და არც საქართველოს საკადრო პოლიტიკის განმსაზღვრელი გუნდის იმიჯს.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მათი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან, რომლებსაც ისინი სხვადასხვა ადგილას და ცალ-ცალკე ხვდებიან. უფრო მეტიც, საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდს აეროპორტში პრეზიდენტის, ან თუნდაც პრემიერ-მინისტრის ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრი დახვდა. მაშინ ღარიბაშვილის მოთხოვნა იყო რომ პრეზიდენტს ოლანდი მის საპრეზიდენტო რეზიდენციაში არ მიეწვია და სწორედ ამ მოთხოვნამ გამოიწვია ის ყოვლად შეუფერებელი და დასაცინი დახვედრა, რომელმაც არა მხოლოდ ქართველი საზოგადოების, არამედ დასავლეთის გარკვეული წრეების უარყოფითი შეფასებები გამოიწვია.

საზოგადოებაში ამ მართლაც საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები ვრცელდება.

პირველი და ყველაზე მარტივი ვერსია ის არის, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა მისი ხათრით არჩეული პრეზიდენტი. ყველას კარგად გვახსოვს ბიძინა ივანიშვილის მუქარა: თუ მარგველაშვილი ვერ გაიმარჯვებს, უფრო სწრაფად გადავდგები პრემიერობიდანო.

მარგველაშვილი აირჩიეს, მაგრამ მან ივანიშვილის იმედები არ გაამართლა. სავარაუდოდ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი (და, ალბათ, ერთადერთი) მიზეზი იმისა, თუ რატომ აქვს პრემიერ-მინისტრს ასეთი არაადეკვატური დამოკიდებულება პრეზიდენტთან.

მეორე მიზეზი უფრო ღრმაა და მარგველაშვილის მსოფლმხედველობას, მის “თავსუფლების ინსტიტუტურ“ წარსულს, ნაციონალების ლიდერებთან ძველ მეგობრობას და ხშირ შემთხვევაში აქტიურ ლიბერალურ პოზიციებს უკავშირდება.

ექსპერტები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ, **თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია „ქართული ოცნება“ თანდათან დაიშლება და არენაზე ახალი პოლიტიკური ალიანსი გამოვა.** ექსპერტი ვაჟა ბერიძე მომავალი პოლიტიკური გაერთიანების სავარაუდო წარმომადგენლებს ასახელებს: **„ეს პოლიტიკური ძალა იქნება: გიორგი მარგველაშვილი, ირაკლი ალასანია და ლევან ვასაძე, ასევე, შესაძლოა, მათ „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეული ნაწილი მიუერთდეს (გიგა ბოკერიას და მისი გუნდის, ანუ აგრესიული ლიბერალების სახით. ავტ.). დასავლეთისგან ნდობით აღჭურვილი ტანდემი მარგველაშვილი-ალასანიასი თუ გამაგრებული იქნება ვასაძის, როგორც რეიტინგული ფიგურის, ავტორიტეტით, მას უკვე რეალური შანსი გაუჩნდება ხელისუფლებაში მოსასვლელადაც“.**

ამ პროგნოზიდან გამომდინარე, სავსებით მართებულია პრემიერ-მინისტრის მცდელობა, რომ საფუძვლიანად და საჯაროდ გაარკვიოს ურთიერთობა პრეზიდენტთან, რომელიც **„მისი გუნდის წევრია, მაგრამ ნებისმიერ შესაძლებელ შემთხვევაში სარმას უდებს პრემიერის ლიდერობით მოქმედ მმართველ ძალას“.**

ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ ფარული დაპირისპირება სააშკარაოზე გამოვიდა. ღარიბაშვილმა თავის გუნდში საკმაოდ ხისტი განცხადებები გააკეთა პრეზიდენტის იმპიჩმენტთან და თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ მარგველაშვილმა თავად დაუთმო ღარიბაშვილს ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ამავდროულად, კოალიციაში ეს სვლა რისკადაც მიიჩნიეს და მკვეთრი ქმედებები საჭირო აღარ გახდა. სამაგიეროდ, მოხშირდა განცხადებები მინისტრებისა და საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან, რომ პრეზიდენტი აპოლიტიკური ფიგურაა, მაშინ, როცა კონსტიტუციაში მკაფიოდ წერია პრეზიდენტის როლის შესახებ.

მინისტრებიდან პრეზიდენტის წინააღმდეგ „გალაშქრების ხვედრი“ საგარეო საქმეთა მინისტრს მაია ფანჯიკიძეს ერგო. მისი არაადეკვატური და ხშირ შემთხვევაში სასაცილო განცხადებები არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს და საზოგადოებას გარკვეულწილად „მოღალატე და უმართავი“ პრეზიდენტისადმი სიმპათიით განაწყობს.

პირველი „ნაჩქარევი“ და ყოვლად არადიპლომატიური განცხადება მაია ფანჯიკიძემ თურქეთის ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის წინ გააკეთა. **„მოგეხსენებათ, გიორგი მარგველაშვილი თურქეთში უკვე ბრძანდებოდა და თურქეთის პრეზიდენტიც აბდულა გიულიც უკვე იმყოფებოდა საქართველოში. ამიტომ ახლა პრემიერი მიემგზავრება და მოლოდინი თურქეთის მხრიდან იყო, რომ ჩავიდოდა პრემიერი, რადგანაც იგი არ ყოფილა თურქეთში იმ პერიოდში, როდესაც იგი არის საქართველოს პრემიერ-მინისტრი“** (ქვეყნის პირველი დიპლომატის განცხადება დაახლოებით იმას ჰგავს, როცა მშობელი შვილს ეტყვის, გუშინ ხომ შენ იყავი კინოში, დღეს შენი ძმის ჯერიაო).

მიუხედავად სიტუაციის კომიკურობისა, ყველაფერმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, მაგრამ საიდანღაც გაეროს 69-ე ასამბლეის ფარგლებში გასამართი კლიმატის ცვლილებების სამიტი „გამოხტა“.

აი ამ „ფილმზე კი არც ერთი ბავშვი არ არის ნამყოფი“ და ამიტომ გაურკვევლობა ნელ-ნელა ღრმავდება.

„მას შემდეგ, რაც გაეროში ინფორმაცია გაიგზავნა, რომ პრემიერი არის დელეგაციის ხელმძღვანელი, მის სახელზე მოდის სხვადასხვა სახის მოწვევები. ჩვენ გვქონდა ძალიან ხშირი კომუნიკაცია პრეზიდენტის მრჩეველთენგიზ ფხალაძესთან. ბოლო შეხვედრა გასულ კვირას მასთან პირადად გვქონდა და ამ შეხვედრების მანძილზე ვცდილობდით განგვემარტა ის არგუმენტები, თუ რატომ მიგვაჩნია, რომ ორი დელეგაციის ერთდროულად გამგზავრება ნიუ იორკში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე არ არის ქვეყნისთვის სასარგებლო და დააზიანებს ქვეყნის იმიჯს. გარდა ამისა, უხერხულია, რადგანაც ასეთი რამ ფაქტობრივად არასდროს არ ხდება“, — აცხადებს მაია ფანჯიკიძე და განმარტავს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით მოამზადა ვიზიტი, ეს კი ქვეყანას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს (ძალიან საინტერესოა, როგორ ზრუნავდა ქვეყნის პირველი დიპლომატი ქვეყნის იმიჯზე მაშინ, როდესაც თავისი პრეზიდენტობის ბოლო თვეებში მიხეილ სააკაშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაწანწალებდა და ქვეყნის იმიჯს ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებდა. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თურმე საგარეო საქმეთა მინისტრს **„არ ჰქონია საშუალება, რომ პირადად პრეზიდენტთან ესაუბრა ამ თემაზე და, შესაბამისად, არ იცის მისი პოზიცია. მაია ფანჯიკიძემ იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან საუბრის საშუალება NATO-ს უელსის სამიტზე ექნება და პრეზიდენტი ამ არგუმენტებს გაითვალისწინებს“**. ნამდვილად საინტერესოა, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებ).

არადა, ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალური ინფორმაცია გავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ კლიმატის ცვლილებების სამიტს გიორგი მარგველაშვილი დაესწრება და მისი სიტყვით გამოსვლაც დაგეგმილია.

როგორც ვხედავთ, გაურკვევლობას ისეთი სუნი უდის, რომ მალე, შესაძლოა, სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს. არადა, თავად მთავარი „გმირები“, როგორც წესი, საკმაოდ ზრდილობიანად უარყოფენ ყოველგვარ უთანხმოებას, მაგრამ ზუსტ პასუხებს არ იძლევიან და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით კმაყოფილდებიან.

საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მტკიცებით, მასსა და პრემიერ-მინიტრ ირაკლი ღარიბაშვილს შორის არანაირი პიროვნული უთანხმოება და დაძაბულობა არ არსებობს.

„არანაირი პიროვნული არც უთანხმოება, არც დაძაბულობა არ არსებობს. ეს არის მიმდინარე პროცესი — ახალი საკონსტიტუციო რეალობის ცხოვრებაში გადაყვანისა, სადაც საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, არამედ არის სახელმწიფოს მეთაური. აქედან გამომდინარე, ალბათ, გარკვეული საკითხი საჭიროებს მოთელვას“, — აცხადებს პრეზიდენტი.

არადა, საზოგადოებას ძალიან აინტერესებს სადამდე შეიძლება წავიდეს პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის დაპირისპირება. აინტერესებს, რადგანაც ეს არ არის ორ პოლიტიკურ ფიგურას შორის კონფრონტაცია, არამედ წარმოჩენილია კონფლიქტი ფორმალურ ინსტიტუციონალურ მოწყობასა და ბუნდოვან საწყისებზე დამყარებულ ეფექტურ მართვას შორის, რაც ქვეყნის მოსახლეობისთვის, მისი მომავლისთვის ყველაზე სერიოზულ საკითხს წარმოადგენს.

კონსტიტუციონალისტებისთვის ცხადია, რომ, რა დიდი სურვილიც არ უნდა ამოძრავებდეს პრემიერ-მინისტრს, ის ვერ შეძლებს პრეზიდენტისთვის ისედაც მცირე უფლებების შემდგომ შემცირებას კონსტიტუციის შეცვლის გარეშე. ეს კი ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან კოალიცია „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს ამ საკითხის გარშემო დეპუტატების 3/4-ის მოგროვებას. მით უმეტეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს აძლევს დაპირისპირება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის.

მარგველაშვილის იმპიჩმენტის საკითხი ჯერჯერობით გადაიდო, მაგრამ დღის წესრიგიდან არ ამოუღიათ.

ჩვენ კი დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, თუ როგორი კლიმატი იქნება საქართველოში კლიმატის ცვლილებების სამიტის დამთავრების შემდეგ.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲣᲩᲪᲘᲚᲝᲯᲜᲘ ᲝᲗᲩᲐᲖᲔᲑᲘ

● **ირაკლი ულუ და გიორგი ნარინი ურდოში ერთად არ უნდა წავიდნენ. რამე რომ მოხდეს, საქართველო მარტო დავით უსუფას იმედად დაგვრჩება!**

● **თურქეთში ნამყოფი ნაცი, სახლში არ შეიშვება!**

● **იხარე, უაღრესად წელში გამართულო ჭერო, მოკვდი პირიქით, მტერო!**

„პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო უელსის სამიტზე უაღრესად წელში გამართული მიდის.“

თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის სასესიო დარბაზში ხმის მიცემის ღილაკის გაჭედვის პრობლემა დაძლეულია“.

interpressnews.ge

ქვეყნის მთავარი პრობლემა დაძლეულია. აწი წავა სულ გლიჯინ-გლიჯინით!

● Mikheil Saakashvili როგორ უშენოდ ჩაიარა, ჩემო ზებრავ, ამ ქვეყანაში ამ საკურორტო სეზონმა, შენ გაფეშენებელურ სანაპიროებზე სულ ეს ქოცი პროდვინუტები მოედვნენ, ეს რა გიყვეს, რა ჭიგო გაგიყარეს შენი ყვარლის ვენახებიდან, ეს რა მწიგნობარი დაგაჩუხანეს და ბარნოვის საკითხავი გახდა კაკალაშვილის პოეზია...

● **ადრე პატარნიკები რო დომინოს თამაშობდნენ, ახლა ეგრე აფთიაქში ბურას თამაშობენო...**

● **ერთი ჩვენ გვაქ ორი პარლამენტი და მეორე კიდე გაერთიანებულ ევროპას.. შეედაროს ქუთაისს და თბილისს სტრასბურგი და ბრიუსელი.. დევეწიეთ ევროპაას?**

● **რიგრიგობით შედით გაეროს კარში, არ გაიჭედოთ..**

● **მაგის ვარსკვლავის გახსნა რო დაგეგმოს პარლამენტმა, პრეზიდენტის სასახლის წინ — ნალდად ჩამოვა...**

● **რა კარგი გამოთქმა გვაქვს ქართველებს, უნახავმა რა ნახაო... კი,მარა ვერ ატყობს პრემიერი, რომ ძალიან ზედმეტი მოსდის და პრეზიდენტი კი ძალიან პასიურობს, ეს უკვე დაცინვაა.**

● **არასდროს დაიჯეროთ მასმედიის მიერ გავრცელებული სენსაციური გამაოგნებელი ინფორმაციები მეტეორიტების დაჯახებაზე, 9-ბალიან მიწისძვრებზე, ვულკანების ამოფრქვევებზე. მკითხველზე ნადირობისას მედია ყველანაირ სენსაციურ სიცრუეს აქვეყნებს!**

ასე რომ, მშვიდად იძინე ამხანაგო!

ამოკრიბა

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔᲛ

„სააკაშვილმა ჭინჭები მოგვიყარა და ასევე ბიუჯეტით ნაყიდ საათებს არ აბრუნებს?“

დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, სახელმწიფო სახსრებით ნაყიდი ძვირადღირებული საათები უკან დააბრუნოს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის პოლიტიკურ განცხადებებზე — თუ რას ფიქრობენ მმართველ გუნდში, ამის გარკვევის მიზნით, for.ge გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა.

— მიხეილ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნის დაწყების თაობაზე პროცედურები მიმდინარეობს. როგორ ფიქრობთ, ყოფილ პრეზიდენტს თავისუფალად გადაადგილების პრობლემა შეექმნება?

— მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ძებნა წითელი ცირკულარით დაიწყება, სავარაუდოდ, მას პრობლემები შეექმნება. ძებნილი ადამიანისთვის ქალაქიდან ქალაქში გადასვლა ძნელია, მაგრამ დაველოდოთ იმას, ინტერპოლის მიერ თუ როდის გამოცხადდება ის ოფიციალურად ძებნილად. როგორც პროკურატურა გვეუბნება, მას ბრალი რამდენიმე უმძიმესს დანაშაულში ედება. სააკაშვილი ვალდებულია, საქართველოში ჩამობრძანდეს და მართლმსაჯულების წინაშე აგოს პასუხი. რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ეს ადამიანი გამოძიებას ემალება და ჩვენებებს არ იძლევა. რატომღაც მისი გულშემატკივრები ამაზე არ საუბრობენ.

ძნელად წარმომიდგენია, რომ გამოძიებას დამალვოდნენ სარკოზი და ბერლუსკონი. როგორც ჩანს, სააკაშვილს გამოძიებასთან თავის სამართლებელი არც არაფერი აქვს. ვალერი გელაშვილის ცემაზე, ან 7 ნოემბრის დარბევაზე, ან საბიუჯეტო ხარჯებზე, რა უნდა თქვას? მართალია, მის ხელში ჯანაშია და სხვები მარიონეტები იყვნენ, მაგრამ ეს მათ პასუხისმგებლობას არ ამცირებს. მათ შეეძლოთ, ხმა ამოეღოთ, მაგრამ გახსოვთ, საკუთარ თანაგუნდელებს როგორ უსწორდებოდნენ — ან ოქრუაშვილივით ციხეში მოხვდებოდნენ, ან ქვეყნიდან გააძევებდნენ. დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი დისტანციურ დაკითხვაზე უარს სასამართლო პროცესზეც იტყვის.

ილუზიებით არ ვიკვებები და გეტყვით, რომ მასზე სისხლის სამართლის დევნა მალე არ დასრულდება და ეს დროში გაიწელება, მაგრამ გამოძიება უნდა გაგრძელდეს.

— თქვენ არ გამორიცხავთ, რომ სააკაშვილს პრობლემები შეექმნას, მაგრამ გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ „საერთაშორისო ძებნის გამოცხადება ხელისუფლებისთვის საჯაროს შედეგით ვერ დასრულდება“. უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ „პოლიტიკურად შეთითხნილი“ საქმეები აქვთ...

— თუ ბოკერია ფიქრობს, რომ გელაშვილმა ფეხი ქვას წამოკრა, თავი დაარტყა და მას ორივე ყბა ამიტომ მოტყდა, ან თუ ფიქრობს, რომ 7 ნოემბერს, ჯარი ყაზარმებიდან თავისი ნებით გამოვიდა და ასევე ბიუჯეტის ხარჯზე, დუბაიში ნაციონალები საცურაო კოსტიუმების ამარა ვინმეს მოელანდა, მაშინ ბოკერიას შერაცხადობის საკითხი შეიძლება დადგეს. როცა ადამიანი ასე თავხედურად და ურცხვად გეუბნება, რომ თურმე, „პოლიტიკურად შეთითხნილი“ საქმეებია, მას წარსული უნდა გაახსენო. ის, რომ სააკაშვილი ბოტოქსებს, ეპილაციასა და მასაჟებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იკეთებდა და უგულავასთან ერთად ღობე-ყორეს იყო მოდებული, ეს მოგველანდა? როცა საბუღალტრო საბუთები გამოქვეყნდა, ოპონენტები ამბობდნენ, საბუთები ივანიშვილმა გააყალბაო. რა გააყალბა? გულზე მჯიღს რომ იცემს იმ წიკლაურს და პრიმიტიულ-მოლაყბე ხაჩიძეს ჰკითხეთ, სად იყვნენ 2013 წლის 31 დეკემბერს? დუბაიში? და ახალ წელს ვის ხარჯზე შეხვდნენ? შეიხებთან ერთად რაიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა?

— ბრალდებებს სააკაშვილიც ირონიით უპასუხებს. სარფში თანაგუნდელებთან შეხვედრისას, მან აღნიშნა, რომ „საზღვარი კოსტიუმების ყიდვის გამო“ ჩაუკეტეს...

— ცინიზმი მისი აგდებული დამოკიდებულებაა. სამკურნალო ადამიანია და ვაი, უბედურ საქართველოს, რომ მის ხელში ამდენი ხანი ვიცხოვრეთ. ჭინჭები რომ მოგვიყარა, ბიუჯეტის ფულით საათებიც იყიდა და არ აბრუნებს? საათები დააბრუნოს! უყვარს ხომ, ათი ათას დოლარიანი ბრჭყვიალა საათები? რატომ არ აბრუნებს? ენანება ხომ? ეძვირფასება? ნაძირალა სააკაშვილმა საათები ჩვენს ხარჯზე შეიძინა, რომლებიც ახლა ათიათასობით ლარი ღირს. თბილისში წყალდიდობა რომ იყო და ბავშვები დაიღუპნენ, მეორე დღეს, სააკაშვილი მილანში შოპინგობდა. საქმეები შეთითხნილია ხომ? — წარმოუდგენელ ხარჯებს რა ვუყოთ? გიული ალასანიამ და სანდრა რულოვსმა ჩვენს ხარჯზე, რატომ უნდა დაისვენონ? სააკაშვილს თაღლით ბაქრაძესთან ერთად ფხუკეთში რა უნდოდა?

— დავით ბაქრაძემ განმარტა, რომ ბრიტანეთის ერთ-ერთ ბანკში არსებული თანხა მის სიმამრს ეკუთვნის, რომელმაც 2002 წელს სახლი გაყიდა...

— ბაქრაძე არის ხაზინის ქურდი. სახლი 2002 წელს გაყიდეს და ფული მუთაქაში შეინახეს? მუთაქის ერთი მხარიდან ფულს ბაქრაძე ტენიდა და მეორედან სიმამრი? ეს მუთაქა ახლა გაახსენდათ, სადაც 800 ათასი დოლარი ჰქონდათ შენახული? ბაქრაძე ზეგალაქტიკური მოვლენაა. ბაქრაძეს ეს თანხა დეკლარაციაში შესატანად არ ახსენდებოდა? დეკლარაციაში მე რომ ერთი თეთრი არ შემეტანა, ციხეში ხომ დამახჩობდნენ?

— ბატონო გიორგი, ყოფილ პრეზიდენტს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებთ, მაგრამ უკან არც ის იხევს. სარფში

მყოფმა ახალი ხელისუფლება გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ „გული უკვდება“, როდესაც ძალადობას, კრიმინალს და მკვლელობებს ხედავს... მაშინ, როდესაც სააკაშვილზე შიდა ძებნა არის გამოცხადებული, ის ქვეყნის საზღვართან მოდის. გაღიზიანებთ?

— ეს მისი მხრიდან კლასიკური პროვოკაცია იყო. სააკაშვილი, რომელიც კარიდან გავაგდეთ, ფანჯრიდან გადმოძრომას ლამობს. წრეებს გვირტყამს. მას ვაჟკაცობის ნატამალი რომ ჰქონდეს, მართლმსაჯულების წინაშე წარსდგებოდა, მაგრამ სააკაშვილი და ვაჟკაცობა გინახავთ? სარფში დანაფტალინებული პოლიტიკური სახეები გადააბრძანა და გაამხნევა — თქვენთან ვარო. ფაქტია, რომ სააკაშვილს სურს, უკრაინაში არსებული უმძიმესი ვითარება თავის სასიკეთოდ გამოიყენოს და წარმოაჩინოს ისე, თუ როგორი სწორუპოვარი ქართველია. ის არის მაწანწალად ქცეული, რომელსაც თავის ქვეყანაში არ დაედგომება. თითქოს, მას ყველგან მიესვლება, მაგრამ პროცესების მიღმაა. საერთაშორისო მასშტაბით სააკაშვილი ნულია. ისტორიიდან სააკაშვილი იცით, ვის მაგონებს? — ივანე რუსს, რომელიც ლოთობის და ყიამყრალობის გამო ქვეყნიდან გააძევეს. მან კი, საქართველოზე ლაშქრობა ორჯერ მოაწყო — სხვათა შორის იქედან, სადაც სააკაშვილი იმყოფებოდა.

რაც შეეხება ხელისუფლების კრიტიკას, ამ კრიტიკას ნაკლებ ყურადღებას მივაქცევ არა იმიტომ, რომ ხელისუფლებას არ სჭირდება, არამედ იმიტომ, რომ სააკაშვილი გვაკრიტიკებს. შეცდომებს ჩვენც ვუშვებთ, მაგრამ ზღვარი გაავლეთ შეცდომასა და დანაშაულს შორის. დღე არ გავიდოდა, რომ მათ უმძიმესი დანაშაული არ ჩაედინათ. რომელი ერთი გითხრათ. უსაგნო კრიტიკა გამორჩენისთვის და ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის, მიუღებელია. იმისთვის ილაპარაკო, რომ ხალხს თავი შეახსენო რომ არ გარდაიცვალე და მიწა არ მოგაყარეს - სირცხვილია.

— თქვენ აპელირებთ, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ცდილობს, მაგრამ სააკაშვილმა თანაგუნდელებს მოუწოდა „პარტიული ლოგიკის მიღმა“ დადექითო...

— მისი გადმოსროლილი ქვა, რომ რაღაც ახალი ზეპარტიული მოძრაობები უნდა შეიქმნას, საღ აზრს მოკლებულია. არც ერთი საღად მოაზროვნე არ მეგულება, რომელიც სააკაშვილთან ერთად რაიმე ახალ პროექტში ჩაერთვება. ასეთებს კოალიციაშიც ვერ ვხედავ. მას სურს, დაყავი და იბატონე შექმნას. მას სურს, ახალი თარგამაძე-ვეფხვაძე-თორთლაძეები შექმნას და ჭადრაკის დაფაზე გადაანაწილოს. მიშიკო, ეს ამბავი დამთავრდა! ის დრო მორჩა, როცა პოლიტიკურ პროცესებს უხილავი ძაფებით მართავდი. ალღომ გიმტყუნა! აღმოჩნდა, რომ ხარ ბრიყვი, რომელმაც ქართველ კაცს სულში ჩააფურთხა და ახლა ამისთვის უნდა დაისაჯო.

სარფში მისი გამოსვლიდან ყველაზე კომიკური ის იყო, რომ თურმე, პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის ინსტიტუტებზე წუხს. თქვა, ესენი გულზე კი არ მეხატებიან, მაგრამ მათ გამო ვწუხო. მას ავიწყდება, რომ იმ საკონსტიტუციო მოდელში ვცხოვრობთ, რომელიც „დიდმა კონსტიტუციონალისტმა“ დემეტრაშვილმა მოამზადა. 113 ხმა გვჭირდება, რომ ის უფლებამოსილებები გაიმიჯნოს, რაც ინსტიტუციებს შორის ბევრ გაუგებრობას იწვევს. ვერ ვიტყვი, რომ ინსტიტუციური კონფლიქტია, ერთმანეთს კვეთენ პრეზიდენტისა და მთავრობის ფუნქციები.

— ამბობთ, რომ მთავრობასა და პრეზიდენტს შორის კონფლიქტი არ არის, მაგრამ ამაზე ითქმის „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“, რადგან გაეროში ვიზიტით წასვლასა და სიტყვით გამოსვლის თაობაზე, მხარეებს შორის დაპირისპირებაა...

ყველამ თავის თავზე უნდა ისაუბროს. და ბოლოს... სარფში სააკაშვილს ერთ-ერთი მოქალაქე ჩაეხუტა და უთხრა, „ცხოვრება ბიჭი“ ხარო. როგორ ფიქრობთ, იმ ფონზე, როდესაც მმართველი გუნდის რეიტინგი კლებულობს, გამორიცხავთ, რომ ნაციონალებმა ხალხის განწყობა შეცვალონ?

— „ცხოვრება ბიჭის“ რეიტინგიც შემცირებულია. ნაციონალების რეიტინგიც იკლებს და 2016 წელს, მათ კიდევ უფრო ცუდი შედეგი ექნებათ. აეროპორტის ტრასაზე — ქაჯეთის ციხეში, რამდენი უნდა დაასაქმონ? — როგორც ჩანს, გადანაწილდებიან ციხის კამერებსა და ოფისში. ეს არის კრიმინალური არსის ძალა, რომელთაც უნდა იქურდონ და ხალხი ხოცონ. სააკაშვილის მთავრობამ ე.წ. კანონიერი ქურდები გაანადგურაო და რად უნდოდა ქურდები, მთავარი ქურდი თვითონ იყო! უფრო სწორად, ის არის არშემდგარი ქურდი. ყველაზე ტრაგიკული პიროვნებაა გალაქტიკაში. ამბობს, ამერიკაში მეტროთი დავდივარო, მაგრამ ვხედავთ, უძვირეს კონცერტებს როგორ ესწრება და დედამიწას ერთ კვირაში ცხრა წრეს როგორ არტყამს.

თეონა მანაგაძე

◎ ალიანჩალიანი

ნუ შელახავთ გარდაცვლილის პატივსა და ღირსებას

გარდაცვლილის სახელის, პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობა ექნება.

კერძოდ, პირს შესაძლოა, შესაძლებლობა მიეცეს, ცილისწამების თაობაზე სასამართლოს იმ შემთხვევაშიც მიმართოს, თუკი ცილისწამების ობიექტი გარდაცვლილია და პირს გარდაცვლილის სახელის, პატივისა და ღირსების დაცვის ინტერესი აქვს. ამასთან, ასეთ შემთხვევაში სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელი იქნება.

ამ მიმართულებით ცვლილებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ„ კანონში შედის, რომლის დღეს მოქმედი ნორმის თანახმად, ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა არ შეიძლება გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების (რეპუტაციის) დაცვას ეხებოდეს. პროექტის ინიციატორები იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე და მისი პირველი მოადგილე შალვა შავგულიძე არიან. კანონპროექტის ავტორია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წარმომადგენელი თამარ მესხია.

ინტერპრესი

◎ უელსის სამიტის წინ



საწვრთნელი ცენტრი MAP-ის სანაცვლოდ?

4-5 სექტემბერს უელსში ნატოს წევრ სახელმწიფოთა ლიდერების სამიტი გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ სამიტის ყურადღების ცენტრში იქნება რუსეთის აგრესიული ქმედებები უკრაინაში, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ნატოს წევრი ქვეყნებისათვის, რომლებიც, ნატოს გენერალური მდივნის განცხადებით, „მზადყოფნის სამოქმედო გეგმით“ უპასუხებენ რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებს. 1 სექტემბერს ნატოს სამიტის წინა, ბოლო პრესკონფერენციაზე ანდერს ფოგ რასმუსენი საქართველოსთან ალიანსის თანამშრომლობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ნატო საქართველოში „თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მისიას“ შექმნის. უელსში ასევე იმსჯელებენ საქართველოში ნატოს პარტნიორი ქვეყნების საწვრთნელი ცენტრის შექმნაზეც.

1 სექტემბერს ნატოს გენერალურმა მდივანმა დიდი დრო დაუთმო რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებსა და ალიანსის წინაშე მდგარ ამოცანებზე საუბარს, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა ალიანსის მხრიდან ევროპისა და მოკავშირეთა უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებზე:

„უელსში ჩვენი შეხვედრა ამ კვირაში სახეცვლილ მსოფლიოს პირობებში ტარდება. სამიტი პასუხს გასცემს შეცვლილი მსოფლიოს გამოწვევებს. შესაბამისად, მე იმედი მაქვს, რომ ეს სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახდება ნატოს ისტორიაში“.

ანდერს ფოგ რასმუსენის თქმით, უელსის 4-5 სექტემბრის სამიტზე დადასტურდება, რომ ალიანსი მზად არის, უნარი შესწევს და აქვს ნება, რომ ნებისმიერი თავდასხმისაგან დაიცვას ყველა თავისი მოკავშირე. ამ კონტექსტში ნატოს წარმავალმა გენმდივანმა ახსენა ნატოს მზადყოფნის სამოქმედო გეგმა (Readiness Action Plan), რაც ალიანსს, როგორც არასდროს, ისეთ სიცოცხლისუნარიანს გახდის: **„მზადყოფნის სამოქმედო გეგმა პასუხია რუსეთის აგრესიულ ქმედებაზე. ამასთან, იგი ალიანსს შეაიარაღებს იმისათვის, რომ გაუმკლავდეს უსაფრთხოების ყველა გამოწვევას იქ, სადაც ისინი იჩენენ თავს“.**

ნატოს უელსის სამიტის წინა პრესკონფერენციაზე, 1 სექტემბერს, ანდერს ფოგ რასმუსენი შეეხო საქართველოსა და უკრაინის საკითხს. ალიანსი მზად არის, უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხს დაუბრუნდეს მას შემდეგ, რაც ქვეყნის ხელისუფლება შეცვლის ამჟამად არსებულ ბლოკგარეშე ქვეყნის სტატუსს, საქართველოს კი ნატოს გენერალური მდივანი თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარების მისიისა და რეგიონალური განზომილების სავარაუდო საწვრთნელი ცენტრის შექმნას შეჰპირდა: **„ჩვენ საქართველოში შევქმნით, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების მისიას, რომელიც უპირატესად ფოკუსირებული იქნება თავდაცვის სამინისტროზე და საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროების რეფორმების გაგრძელებასა და მოდერნიზებაში დაეხმარება“.**

2008 წლიდან მოყოლებული, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროები განუწყვეტელი დაკვირვების ქვეშ არის ნატოს მხრიდან, რომელიც საქართველოსთან გაწევრების სამოქმედო გეგმის ერთგვარი სუროგატის, ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში პერმანენტულად გზავნის შეფასების მისიებს. საბოლოო ჯამში, ჩრდილოატლანტიკური საბჭო ყოველთვის წარმატებით აფასებდა და სხვა პარტნიორი წევრი ქვეყნებისთვის სანიმუშოდაც კი მიიჩნევდა საქართველოს მიერ თავდაცვის სფეროს რეფორმირებისა და მოდერნიზების კუთხით ნაჩვენებ პროგრესს. **შესაბამისად, იბადება შეკითხვა: რამდენად რელევანტურია თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარების მისიისა და მხოლოდ ნატოს პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით სავარაუდო საწვრთნელი ცენტრის შექმნა ქვეყნისათვის, რომელიც მეხუთე წელია, ელოდება ნატოში გაწევრიანების მკაფიო საგზაო რუკის - გაწევრიანების სამოქმედო გეგმის — მიღებას. ამ შეკითხვით რადიო თავისუფლებამ აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს არჩილ გეგეშიძეს მიმართა.**

„საქართველომ უკვე დაასრულა ის ეტაპი, როდესაც რაღაც ტესტებს აბარებდა და გარკვეულ რაღაც წინაპირობებს ასრულებდა საშინაო დავალებების სახით, რათა მორიგი ნაბიჯი გადაედგა ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით. ახლა, დასრულდა ეს ეტაპი და უკვე საკითხი მიდგა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე და ასეთ დროს ასპირანტი ქვეყნის თავსებადობას ნატოსთან აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ბატონი რასმუსენის მიერ გაჟღერებული ეს მოსალოდნელი გადაწყვეტილებები მომავალ ნატოს სამიტზე სწორედ საქართველოს ნატოსთან თავსებადობის შემდგომი ამაღლების, გაძლიერებისა და გაღრმავების მიმართულებით გადადგმული მორიგი ნაბიჯი იქნება ორმხრივ ურთიერთობებში“, — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა.

დაბოლოს, გავიმეორებთ, რომ ნატოს სამიტი უელსში 4-5 სექტემბერს გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ საქართველოს დელეგაციას, რომელსაც პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ხელმძღვანელობს, რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა ექნება უელსში. ნატოს სამიტი 4 სექტემბერს ოფიციალურად გაიხსნება, ავღანეთის უსაფრთხოების საერთაშორისო მხარდამჭერ მისიაში მონაწილე ნატოს წევრი და სხვა კონტრიბუტორი ქვეყნების ლიდერთა მონაწილეობით. შემდეგ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები ალიანსის ოთხი ასპირანტი ქვეყნის — ბოსნია-ჰერცეგოვინის, საქართველოს, ჩერნიგორიისა და მაკედონიის — საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდებიან, 5 სექტემბერს კი ნატოს თავდაცვის მინისტრები შეხვდებიან ავსტრალიის, ფინეთის, საქართველოს, იორდანიისა და შვედეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელებს, როგორც პროგრამაშია მითითებული, თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობათა განსახილველად.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ უკონტროლო თამაშის წესები

კაბალური სალომბარდო სესხები და გაღატაკებული მოსახლეობა

სახელმწიფომ და ეროვნულმა ბანკმა **უნდა შემოიღონ რეგულაციები, რომელიც სალომბარდი სფეროს დააბალანსებს. ამაზე უკვე დიდი ხანია, მედია ალაპარაკდა. საქმე ისაა, რომ უკონტროლოდ მიშვებულმა ბაზარმა საკმაოდ ბევრი ადამიანი დააყენა პრობლემის წინაშე. ამის მიზეზი კი ისევ და ისევ მაღალი საპროცენტო განაკვეთებია, რომელსაც ლომბარდები თვითნებურად აწესებენ.**

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამ სეგმენტში არსებულ მონაცემებს აქვეყნებს. სესხის საპროცენტო განაკვეთი საშუალოდ წლიური 54 პროცენტია, რაც დაახლოებით ყოველთვიური 3-4 პროცენტია, ან უფრო მეტიც გამოდის. სულ 1000-ზე მეტი სალომბარდო ორგანიზაციაა, ხოლო კლიენტთა რაოდენობამ თითქმის 700 ათასს მიაღწია. ამ სერვისით ყველაზე მეტად თბილისელები სარგებლობენ — ადამიანთა დაახლოებით 60 პროცენტზე მეტი. უფრო მეტად ძვირფას ნივთებს, განსაკუთრებით ოქროსას აგირავებენ, ასევე საოჯახო, საყოფაცხოვრებო ნივთებს: კომპიუტერებს, მობილურებს, სარეცხ მანქანებს, მაცივრებს, ავტომობილებს.

გამოუვალ მდგომარეობაში თითქოსდა „შენს გვერდით შენი ლომბარდია“, მაგრამ ამავე დროს დროთა განმავლობაში გაკოტრებს. დაგირავებული ნივთების ნახევრი მეპატრონეს არ უბრუნდება, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთის გადახდა უჭირს. მით უფრო ძნელია „თავი ფულის“ თავმოყრა და ერთიანი გადახდა.

დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ სალომბარდო ბაზარი ხელშეწყობის ნაცვლად მოსახლეობას პრობლემებს უქმნის, მაგრამ, ჯერჯერობით, მთავრობა ამ მიმართულებით ნაბიჯებს არ დგამს.

ექსპერტი **ლია ელიავა** პირდაპირ აცხადებს, რომ **„ლომბარდის მიმართ ასეთი დიდი ინტერესი და მოსახლეობის დამოკიდებულება, ერის ტრაგედიაა. ყოველი მეხუთე ადამიანი ლომბარდის მომხმარებელია. უმეტესობას ნივთი ლომბარდში მიაქვს, რათა სოციალური და ფინანსური პრობლემები გადაჭრას. იყიდოს წამალი, საკვები ან დროულად გადაიხადოს გადასახადი... არადა, სესხის საპროცენტო განაკვეთი ისეთი მაღალია, რომ ადამიანს კიდევ უფრო აღარიბებს... საქართველოში ლომბარდის სფეროს რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება, რაც წარმოუდგენელია“.**

სახელმწიფოსგან აუცილებელი ზომების მიღებას მოითხოვს ექსპერტი **ნოდარ კაპანაძე.** მისი თქმით, მოქალაქეები ვერ აცნობიერებენ, როგორ რისკავენ, როცა კაბალურ პირობებზე თანხმდებიან. **„მოსახლეობა წინასწარ არ ითვალისწინებს შედეგს. შემდეგ კი უჭირს პროცენტის გადახდა და ნივთის უკან დაბრუნება. სალომბარდო ბიზნესში იაფი ფული არ არის. ხოლო ორგვერდიან ქაღალდზე დაბეჭდილ წვრილი შრიფტით შედგენილ ხელშეკრულებას ხელს ისე აწერენ, რომ არც კითხულობენ. ლომბარდის ოპერატორიც არ უხსნის მომხმარებელს მოსალოდნელ საფრთხეებს. ჩემი აზრით, წესები უნდა განსაზღვროს სახელმწიფომ. მოსახლეობას სერიოზული პრობლემა აქვს და შველა სჭირდება“.**

ლომბარდის მიერ გაკოტრებული ადამიანები, ალბათ, ბლომად არიან, მაგრამ ვინაიდან საზოგადოებაში მყარად არის დამკვიდრებული აზრი, რომ ლომბარდი ზოგადად ასეთი სისტემით მუშაობს, ხმის ამომღებიც არავინაა. იციან, რომ ხელს აწერენ ხელშეკრულებას: გადაიხდი, ნივთი დაგიბრუნდება, ვერ გადაიხდი, ნივთს დაკარგავ!

„რა თქმა უნდა, ლომბარდის მომსახურებით ხშირად მისარგებლია. სახლიდან გამქონდა დედაჩემის ნაჩუქარი ოქროს სამაჯური, ქორწინების ბეჭედი, ნათლობის ჯვარი და ჯაჭვი... იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ფული მჭირდებოდა. ხანდახან თვეობით ვიხდიდი ვალებს, მაგრამ მაინც ვიბრუნებდი ამ ნივთებს, რადგან ყველა ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის.

ბოლოს წელიწადნახევრის წინათ დავაგირავე ეს ნივთები, ისე მოხდა, რომ პროცენტის დაფარვა გამიჭირდა, ძირითად თანხაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ასე რომ, ყველაფერი დავკარგე. გული ძალიან მწყდება“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა ქალბატონმა.

საოჯახო რელიკვიები, საყვარელი ნივთები, ძვირფასეულობა — თითოეული ადამიანისთვის განძი და იმედია, რადგან იცი, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ის გაჭირვებისგან გიხსნის. ლომბარდის დანიშნულებაც თავისი ბუნებით სწორედ ესაა. სამწუხაროა, რომ ოჯახისთვის განსაკუთრებულად სავალალო ვითარებას ლომბარდის მეპატრონეები ცუდად, ანუ მხოლოდ სათავისო სარგებლისთვის იყენებენ.

არასწორი თამაშის წესები გაღარიბებულ მოსახლეობას საერთოდ აღატაკებს. სახელმწიფოს კი, ჯერჯერობით, თითი არ გაუნძრევია.

ნია ფიფია

◎ ალიანჩალიანი

ინფლაციის დონემ 3,4%შეადგინა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს, აგვისტოს თვის ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე. აღნიშნულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,7 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,78 პროცენტული პუნქტით აისახა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (14,9 პროცენტი). ფასები ასევე გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის (2,6 პროცენტი) და ხორცისა და ხორცის პროდუქტების (1,1 პროცენტი) ქვეჯგუფებზე. ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-3,5 პროცენტი); რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვას, აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ფასების 1,6-პროცენტიანი კლება, რაც აგვისტოს ინფლაციაზე -0.17 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად განაპირობა ფარმაცევტულ ნაწარმზე ფასების 6,6-პროცენტიანმა კლებამ.

ამასთან, ფასები შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-2,6 %); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 5,4 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის ჯამურ მაჩვენებელში 0,30 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნული ზრდა ძირითადად განაპირობა თამბაქოს ნაწარმზე ფასების 9,9-პროცენტიანმა მატებამ.

◎ განსჯა

მიხედეთ ქვეყანას!!!

პოლიციის მიერ ქუჩაში ბიჭების ჩაცხრილვა არ გვინდა, მაგრამ არც ის გვსურს, რომ ადამიანებმა ერთმანეთი დახოცონ!

ვაკეში, ბარნოვის 48 ნომერთან 30 წლის ლაშა მახარაძე მოკლეს, მას ორი ტყვია ესროლეს!!!

მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით დანაშაულთა რაოდენობა მცირდება, ყოველდღიურად გვესმის, როგორ კლავენ ადამიანებს დღისით, მზისით, ან ღამით, როგორ ჭრიან, ცემენ... მოტივი ძირითადად შურისძიებაა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის საზოგადოებისთვის. დრო გადის და გახსნილი თუ გაუხსნელი დანაშაულების კვალდაკვალ დაუცველობის განცდა იმატებს.

ამ ფაქტს აქტიურად ეხმიანებიან სოციალურ ქსელში. თავდაცვის მინისტრის მეუღლე ნათია ფანჯიკიძე თავის ფეისბუქის გვერდზე წერს, რომ ეს მხოლოდ პოლიციის უმოქმედობის ბრალი არ არის: **„ფაქტია, რომ შველა გვჭირდება, ამდენი მკვლელობა, რაც მხოლოდ ამ ერთ კვირაში მოხდა, ნიშნავს, რომ ძალიან ავად ვართ. მხოლოდ პოლიცია ვერ დაიცავს საზოგადოებას. მით უმეტეს, ვერ უმკურნალებს... აპათიური მდგომარეობიდან საკუთარი თავის (საზოგადოების) გამოყვანა ყველას ერთობლივი მიზანი უნდა იყოს!“**

„შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს!!! დღევანდელი მკვლელობის მერე აუცილებლად!!! თუ ვინმეს თავმოყვარეობა შერჩა ამ ქვეყანაში და ხელისუფლებაში!“ — ასეთი კატეგორიულია ჟურნალისტი ელისო კილაძე, რომელსაც იმთავითვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. ამ სტატუსის კომენტირებისას ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი წერს: „ძალიან სამწუხაროა, რომ ამდენი მკვლელობა ხდება, მაგრამ ცოცხების დრო გაიხსენე“.

სხვათა შორის, სოციალურ ქსელში კვლავ აქტუალურია „ცოცხების“ თემა. მაგალითად, ცნობილი ტელესახე თიკო სადუნიშვილი ასეთ სტატუსს აქვეყნებს: **„ამ ბიჭების მკვლელებს ტრაკში ცოცხები რომ გათხარონ, საპროტესტო აქციაზე რამდენი გამოხვალთ?“** ანუ მას უნდა თქვას, რომ ახალაიები ცოცხებით მხოლოდ კაცისმკვლელებს უსწორდებოდნენ, თუმცა, ამ იდეას, ბუნებრივია, მომხრეები ნაკლებად გამოუჩნდა. **„ზოგადად, ძნელია, ასეთ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება. კარგი იქნება, უფრო საქმიანად, პანიკისა და ერთმანეთთან დაპირისპირების გარეშე ვებრძოლოთ მკვლელებსა და დამნაშავეებს, რადგან საშიში პოზიცია იკვეთება, რომ მხოლოდ სისასტიკითა და უზნეო მეთოდებით ყოფილა შესაძლებელი მათი ალაგმვა-დამარცხება“,** — ასეთია ერთ-ერთი პირის კომენტარი.

ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ ლექსო ჭიკაიძეს „ფუნთუშად“ მოიხსენიებენ, რომელიც ყოფილი „ხერხემლის“ — მერაბიშვილის საპირწონედ აშკარად უსუსურად გამოიყურება. ჟურნალისტი თეონა გოგელია ასეთ სტატუსს აქვეყნებს: **„რა სევდიანია ეს ნიშნის მოგებით დაწერილი „ნულოვანი ტოლერანტობა არ გინდოდათ?“ და „ცოცხები დააბრუნეთ“ უწყლობისა და მკვლელობების ამბების ფონზე. რატომ არ შეიძლება რაღაც შუალედური იყოს შესაძლებელი — „ხერხემალსა“ და „ფუნთუშას“ შორის?!“**

ვირტუალურ სამყაროში გოგა ხაჩიძის ამაზრზენი კომენტარიც გავრცელდა, რომელიც ნაციონალმა დეპუტატმა კატეგორიულად უარყო და „ქართული ოცნების“ აქტივისტებს დააბრალა, მიგონებენ და ჩემი სახელით აქვეყნებენო. ეს კომენტარი მართლაც რომ, ამორალურია: **„ყოველი ასეთი მკვლელობა ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. მეორეც მომხდარა ლილოში. იმენნა ყველაფერი ჯიგრულად მიდის!“** ხაჩიძე ამაზე ამბობს, მე არ დამიწერიაო, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ სოციალური ქსელის აქტივისტთაგან ძალიან ბევრმა დაიჯერა. ხაჩიძის „სტილი დაცულია“ და მას ამის დაწერა არ გაუჭირდებოდაო. ხაჩიძე აქვეყნებს იმ სტატუსის შინაარსს, რაც მან ნამდვილად დაწერა, რომელიც აბსოლუტურად გაუგებარი და არაფრის მთქმელია: **„მოდით მალე, მოდით, კიდევ ამოვიდა!**

იმენნა ყველაფერი ჯიგრულად მიდის!

ჯგუფიდან არ გავა იმედია, ეს სტატუსები და ვინმე თავს არ დამაჭრევინებს!

ყოველი ასეთი ამოსვლა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს! ხა, ხა, ხაااა! რა მაგრად ამოვიდა!

უუუუხ, რა დაასხა ჩვენს წისქვილზე წყალი!...

სადმე მანდ, „ოციანში“ დარჩენილი იქნება, სისხლი შემომაშველეთ!

დილა მშვიდობისა, მეგობრებო.

მზე ამოვიდა.

(ვთპ, ქოცებო, უნიჭოები ხართ, მაგრამ ზარმაცები)“.

საინტერესოა, მზის ამოსვლას ასეთი გახარებული რატომ შეხვდა გოგა ხაჩიძე. რა გაუხარდა: თბილისში პარლამენტის გახსნა, უელსის სამიტი, ნატოსთან დაახლოების პერსპექტივა, უკრაინაში მიმდინარე სისხლისღვრა თუ კრიმინალი, რომელიც, სამწუხაროდ, თითქმის ყოველდღიურად ხდება?! თუკი წარმოვიდგენთ, რომ ხაჩიძემ დილით „კურიერს“ უყურა, სადაც ინფორმაციები მკვლელობებით დაიწყო, გასაგები იქნება, რა ახარებთ ნაციონალებს.

სხვათაშორის, ძალიან საინტერესო სტატუსი გამოაქვეყნა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა, აჭარელმა ზეინაბ დიასამიძემ, რომელსაც ძალიან ბევრი მოწონების კოეფიციენტი ერგო. **„დილაა და არ მინდოდა, ამ თემით დამეწყო „მოღვაწეობა“ ვირტუალურ სივრცეში! თუმცა, მაინც უნდა ვთქვა!!!**

დღე არ გაივლის, რომ მკვლელობა არ მოხდეს — დღისით... მზისით... ქალაქის ცენტრალურ უბნებში!

დღე არ გაივლის, თვითმკვლელობის და უვერაგესი დანაშაულის გარეშე!!!

დღე არ გაივლის... რომ „მელკი“ თუ „მძიმეწონიანი“ ხულიგნობა არ მოხდეს ქალაქში — და ამ დროს პოლიცია არსად ჩანს!

უფრო მეტიც(!) ეს ხულიგნები ისე მშვიდად გრძნობენ თავს პოლიციის უმოქმედობით, რომ მოქალაქეებს ასე უპასუხებენ: „თქვენს პოლიციასაც შე...ციო“.(უკაცრავად). ასე რამ დააკნინა პოლიციის ფუნქცია??!

ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით!

ჩვენ „ნულოვანი ტოლერანტობით“ და „გონივრული ეჭვით“ პოლიციის მიერ ქუჩაში ჩახოცილი ბიჭები არ გვინდა, მაგრამ არც ასეთი განუკითხაობა და ქაოსი გვინდა, რომ ახალგაზრდებმა, ადამიანებმა ერთმანეთი დახოცონ...

მიხედეთ ქვეყანას!“

მოამზადა
თეა მოსიამ

◎ ალიანჩალიანი

სოფელ გორაში 4 წლის ბავშვი დააუთოვეს

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაში უცნობმა პირებმა 4 წლის ბავშვი დააუთოვეს. შემთხვევა არველაძეების ოჯახში მოხდა.

არსებული ინფორმაციით, მძარცველები ფულს ითხოვდნენ და მცირეწლოვანიც ფულის მიღების მოთხოვნით დააუთოვეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაჭრილი წვევამდელი საავადმყოფოში გარდაიცვალა

სამხედრო ნაწილში დაჭრილი წვევამდელი იპოვეს, რომელიც თავში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია, რომ გიორგი ასანიძე სამხედრო ნაწილის მორიგემ იპოვა. მას ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული, რის შემდეგაც, წვევამდელი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია, საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით — თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე. საქმეში სამხედრო დანაშაული არ იკვეთება. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო სამმართველო მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს.

1994 წელს დაბადებული გიორგი ასანიძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2013 წლიდან ირიცხებოდა. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლაში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი გიორგი გიორგის ძე ასანიძის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

მოსკოვში „რობინზონი“ დააკავეს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსკოვში, ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი რობინზონ არაბული, მეტსახელად „რობინზონი“ დააკავეს.

როგორც რუსული მედია წერს, 62 წლის „კანონიერი ქურდი“ დაკავების მომენტში ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. მას დაკავებისას შარვლის ჯიბიდან დაახლოებით 2 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოუღეს. სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტზეა აღძრული.

რობიზონ არაბული სხვადასხვა დანაშაულისთვის რამდენჯერმეა გასამართლებული. რობინზონ არაბული თავისი ექსცენტრიულობით ცნობილია. როგორც რუსული მედია წერს, ყოველი მისი დაკავება ერთგვარი სპექტაკლია.

სამართალდამცავების ინფორმაციით, ამჯერადაც „რობინზონი“ დაკავებისას გულწასული დაეცა და მის დასახმარებლად სასწრაფო დამხარების ბრიგადა გამოიძახეს.

არავითარი საფუძველი არ არსებობს, ვიფიქროთ, რომ კრიმინოგენური მდგომარეობა გაუარესდა

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდა , წმინდა წყლის პოლიტიკურია და ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

იზორია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ამ განცხადებას სამინისტროს დისკრედიტაციის მცდელობით ხსნის. „მინდა, დავამშვიდო საზოგადოება. არავითარი საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ კრიმინოგენური მდგომარეობა გაუარესდა, არ არსებობს“, — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მანვე სტატისტიკა მოიშველია, რომლის მიხედვითაც, 2011 წლის აგვისტოს თვეში ზუსტად იგივე რაოდენობის, კერძოდ, 11 მკვლელობა მოხდა, როგორც მიმდინარე წლის აგვისტოში. იზორიას განცხადებით, ყველა ეს მკვლელობა უკვე გახსნილია.

მინისტრის მოადგილემ ასევე წარმოადგინა 2011, 2012, 2013, 2014 წლების სტატისტიკა და აღნიშნა, რომ მონაცემები თითქმის ერთნაირია. ხოლო თუ წინათ მკვლელობების გაშუქება იშვიათად ხდებოდა, დღეს თითქმის ყველა მკვლელობა შუქდება.

მისივე თქმით, თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეჭვი ეპარება და უნდობლობას უცხადებას სტატისტიკას, შეუძლია სიზუსტისთვის ჩაიწეროს ყველაფერი და შეადაროს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკას. იზორია „ნაციონალურ მოძრაობას“ მოუწოდებს, თავი დაანებოს მოსახლეობის მოტყუებას. რაც შეეხება მკვლელობების პრევენციას, როგორც იზორიამ აღნიშნა, უწყება გაორმაგებული ენერგიით მუშაობს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში მკვლელობები ხდება მეგობრებსა და ნათესავებს შორის და იშვიათად უცნობებს შორის.

მანვე აღნიშნა, რომ თუნდაც ივლისის თვეში მხოლოდ ერთი მკვლელობა დაფიქსირდა და აქედან გამომდინარე, წინასწარ მკვლელობების რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია. „კონკრეტული ინტერესი აქვს საზოგადოებას, იყო თუ არა ამნისტია მიზეზი იმისა, რომ იმატა დანაშაულმა. გეუბნებით კონკრეტული ციფრებით, რომ არა. ეს რეალობა იყო 2011-შიც და 2012-შიც“, — განაცხადა იზორიამ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ორ წელიწადში ამოქმედდება

ყველა ტიპის დანაშაულზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედება ორი წლით გადაიწევს. პარლამენტს განსახილველად „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები წარედგინა, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულთა დროებითი განსჯადობის ვადა, რომელიც 2014 წლის 1 ოქტომბრისთვის იწურება, 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში, 2011 წლიდან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ეტაპობრივი დანერგვა დაიწყო. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ გათვალისწინებით, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მოქმედების არეალი მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სასამართლოებით არის შემოფარგლული. ნაფიც მსაჯულებს დღეს ვერდიქტი მხოლოდ ისეთ დანაშაულებზე გამოაქვთ, რომელიც სიცოცხლის მოსპობას ეხება. ამასთან, გასულ წელს, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას ყოფილ და მოქმედ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლებრივი დევნის საქმეები დაექვემდებარა. 1 ოქტომბრიდან კი ძალას კარგავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა, რის შემდეგაც ზოგადი წესი სრული მოცულობით უნდა ამოქმედდეს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას ყველა ის სისხლის სამართლის საქმე დაექვემდებაროს, რომლიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ჯერ კიდევ მოქმედი კოდექსის გათვალისწინებით, 1 ოქტომბრიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა უკლებლივ ყველა სასამართლოზე უნდა გავრცელდეს. კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების ავტორი იუსტიციის სამინისტროა.

ინტერპრესი

◎ ცუდი მემკვიდრეობა

უპროექტო მშენებლობათა ხანის დასასრული

ნაცმოძრაობის ხელისუფლების დღევანდელი აქტივისტებისგან არაერთგზის გვსმენია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესის შენელება, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადისა და გრანტების მნიშვნელოვანი შემცირება „ქართული ოცნების“ მთავრობის მიერ წამოწყებული არაერთი დიდი პროექტის შეჩერებითაა განპირობებული. არადა, ეროვნული ეკონომიკის მრავალი დარგის წარმომადგენლის განცხადებით, იმ დიდი პროექტებიდან, ფაქტობრივად, არც ერთს ბოლომდე გამართული, სრულად გააზრებული პროექტი არ ჰქონია, რამაც მათი რევიზიის აუცილებლობა გამოიწვია და ეს, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია, ვთქვათ, დედაქალაქის შემოვლითი რკინიგზის მშენელობის დროებით შეჩერება, რიყის ტერიტორიაზე სრულიად უაზრო საზაფხულო თეატრის მშენებლობა და მრავალი სხვა. აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო შემოსავლების სამსახურის ინფრასტრუქტურასაც აქვს.

სამინისტროს ეს უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფის ინფრასტრუქტურა დღესდღეობით საგრძნობლად ფართოვდება: მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ კახეთელიძის თქმით, ეს პროცესი სამსახურის არსებობის მთელი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა, მაგრამ ამჟამად მასშტაბი შეუდარებლად გაზრდილია. დღესდღეობით რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს, ესენია, კერძოდ, ნინოწმინდის, ლაგოდეხისა და კარწახის საბაჟოები, უკვე დასრულებულია ყაზბეგის საბაჟო და ლილოს გაფორმების ეკონომიკური ზონა.

შემოსავლების სამსახურის მაღალჩინოსნის თქმით, წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არა თუ სრულყოფილი არ ყოფილა, ის მიწის ნაკვეთებიც კი, რომლებზეც ისინი უნდა განთავსებულიყო, არ ყოფილა შემოსავლების სამსახურზე გაპიროვნებული და არც სათანადო ნებართვა ჰქონია, ისევე, როგორც გეოლოგიური დასკვნა არ ახლავს და სხვ. ყოველივე ეს, ცხადია, პროექტების შესაბამის

დონეზე მოყვანის შემდგომ, კონკრეტული ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაზე აისახა რომელთაგან ზოგიერთ შემთხვევაში ღირებულება შემცირდა, ზოგ შემთხვევაში კი გაიზარდა.

ბატონი კახეთელიძე მსავსი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტთა არასრულფასოვნებაზე, ასევე, დედაქალაქში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებზეც საუბრობს, რომელთაგან არაერთი ასევე სათანდო პროექტების გაუაზრებლობის მიზეზითაა წარმოშობილი. იგი, კერძოდ, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების აშკარად არასაკმარისობაზე მიუთითებს, რომელთაც ბოლო წლებში იმდენად არადამაკმაყოფილებლად აკეთებდნენ, რომ მსხვერლიც კი მოჰყვა. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ თბილისის ცენტრში, გმირთა მოედანზე ესტაკადების მშენებლობა და მდინარე ვერეს ხეობაში ახალი სამანქანო გზის გაყვანა ამ უბანზე მეტად რთული გეოლოგიური აგებულებისა და მიმდინარე პროცესის გაუთვალისწინებლად მოხდა. იქაურ ბუნებრივად ჩამოყალიბებულ სისტემაში იმდენად უპრეცედენტო ჩარევა განხორციელდა, რომ ამის უარყოფითი შედეგების გამოსწორება ამჟამად უკვე შეუძლებელია — ახალ სამანქანო ტრასაზე ქვათაცვენის შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს კი, თავის მხრივ, იქ მოძრავ ტრანსპორტსა და მგზავრებს ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ბატონ კახეთელიძის თქმით, ვერეს ხეობაში სამანქანო ტრასის გასწვრივ ქვათაცვენას თავიც რომ დავანებოთ, მთელი ვაკე, გეოლოგიურად, ფაქტობრივად, ჩამოშლილ ქანთა ნაყარია. ამდენად, ამ მასშტაბის მშენებლობის განხორციელებისას იქ სათანადო დამცავი საინჟინრო ნაგებობების აშენება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, თუმცა ეს არ განხორციელებულა, ამდენად იქაური მოსახლეობა გამუდმებული საფრთხის წინაშე დგას.

ამდენად, მისი აზრით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თბილისის მერიის ახალმა ხელმძღვანელობამ, დედაქალაქის ურბანული განვითარების კონცეფცია ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნებს მოარგოს, რისთვისაც საჭირო სახსრები არ უნდა დაიშუროს — დღეს დახარჯული ერთი ლარი რამდენიმე წელიწადში თავს ათმაგად და მეტადაც ამოიღებს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ მეცნიერთა დავები არასამეცნიერო თემაზე

ეროვნული მუზეუმის ვნებანი

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მეცნიერებისთვის აყვავების ხანის დამპირებელმა „ვარდოსანთა“ ხელისუფლებამ სამეცნიერო, კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციების „ოპტიმატიზაცია“ დაიწყო. უაზროდ ხდებოდა სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციების შერწყმა. თავინთი შეხედულებებისამებრ აუქმებდნენ ხელისუფლებისთვის გაუგებარ, მაგრამ ამავე დროს უმნიშვნელოვანეს დაწესებულებებს. განათლებაზე საქვეყნოდ ნიანგის ცრემლებით მომტირალი სააკაშვილი ქუჩაში, უმუშევრად ტოვებდა ასეულობით მეცნიერ-თანამშრომელს, განათლების კვალიფიციურ მუშაკს, ახალი თაობისათვის, საერთოდ საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო ხალხს.

ხელოვნების მეუზეუმის თანამშრომლებს „ვარდებითა“ და დაპირებებით მოსულმა ხელისუფლებამ 2006 წელს განუცხადა, რომ შეიქმნა ეროვნული მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაში ხელოვნების მუზეუმიც შევიდა. მუზეუმის „საგანძურის“ ფონდის მთავარი მცველის ელენე კავლელიშვილის განცხადებით, „სიახლის“ მიხედვით ხელოვნების მუზეუმს შეუჩერდა იურიდიული სტატუსი, მაგრამ ახლად შემოერთებულს „ზევიდან“ განუმარტეს, რომ ფონდების ხელშეუხებლობა ძველებურად ავტონომიური ხდებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამბობს მთავარი მცველი, როდესაც მუზეუმის ფონდებთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი ყველამ აიცილა თავიდან, მათი რემონტების დაფინანსება ბიძინა ივანიშვილმა ითავა, მაგრამ „ნაცებმა, აქვე გამოძებნეს გამოსავალი. იმის გამო რომ ხელოვნების მუზეუმი სტრუქტურულად ახალი ბრძანებით ეროვნული მუზეუმის ქვედანაყოფი გახდა, ცნობილი მეცენატის გამოყოფილი ფული მთლიანად სათაო ორგანიზაციის ანგარიშზე ჯდებოდა, რის გამოც მთელი გამოყოფილი თანხა კავლელიშვილისა და მის კოლეგების გვერდის ავლით მიდიოდა. ამას მოჰყვა მთელი რიგი ექსპოზიციების დახურვა. დარჩა მხოლოდ ოქროს „ფონდი“, „საგანძური“, რომელზეც მთელმა დატვირთვამ გადაინაცვლა.

ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სამუზეუმო ქველმოქმედება შეწყდა. ხელოვნების მუზეუმის ეროვნული მუზეუმისაგან გამოყოფის მოთხოვნა, დამოუკიდებელი სახელის აღდგენა და დამოუკიდებელი დაფინანსება კვლავ ძალაში რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დარგის წინსვლა შესაძლოა შეფერხდეს და კატასტროფული შედეგები მოჰყვეს, ამას აცხადებენ ხელოვნებათმცოდნეები, დარგის ექსპერტები და სპეციალისტები. ყველამ ერთად მაშინდელ პრემიერ-მინისტრს და კულტურის მინისტრს მიმართა... მაშინ რაღაც პერიოდში სასიკეთო ძვრები შეინიშნებოდა, მაგრამ მალე ყველაფერი შეჩერდა.

მუზეუმის თანამშრომლები დაიბარეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, საიდანაც კონკრეტული წინადადებები არ წამოსულა. უფრო მეტიც, ეროვნულ მუზეუმში უარყოფენ კავლელიშვილისა და მათი კოლეგების განცხადებებს, მას რამდენიმე თანამშრომლის სუბიექტურ მოსაზრებებს უწოდებენ. ექსპოზიციების დახურვასთან დაკავშირებით ეროვნული მუზეუმის პრესცენტრის ხელმძღვანელი ანა ვერულაშვილი დახურვას მხოლოდ ექსპონატების გადასარჩენად ჩატარებულ ღონისძიებად მიიჩნევს, რადგან თურმე შენობაში წვიმა ჩადის და მისი დახურვაც ამ გარდაუვალობით იყო გამოწვეული.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი აცხადებს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა შესაბამისი სამთავრობო კონცეფცია.

მაგრამ ამ დოკუმენტაციაზე სერიოზული მუშაობაა საჭირო. რაც ჯერ არც ერთი უწყებიდან არ შეინიშნება...

ზაზა ბილიხოძე

◎ რთველი — 2014

კარტელური გარიგება ყურძნის ფასზე

34-მა კომპანიამ საფერავის ფასი ერთდროულად 2.40-დან 1.50 ლარამდე დააგდო

კახეთში **რთველი 21 აგვისტოს დაიწყო. ღვინის კომპანიები საფერავის ჯიშის ყურძენს 1.30 ლარად იბარებდნენ. 27 აგვისტოდან ყურძენი გაძვირდა. 28, 29, 30 აგვისტოს 1 კილოგრამი ხარისხიანი საფერავის ფასი 2-დან 2.40 ლარამდე მერყეობდა. იმის მიუხედავად, რომ წელს კახეთში, სეტყვის და ძლიერი გვალვის გამო ხარისხიანი ყურძნის მოსავალი შემცირებულია, ყურძენზე მოთხოვნა კი გაზრდილი, 31 აგვისტოს, ღვინის 34-ვე კომპანიამ საფერავზე ფასი ერთდროულად 1.50 ლარამდე დააგდო.**

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წლის ივლისში გაავრცელა ინფორმაცია, რომ წლეულს, კახეთში 126 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალია მოსალოდნელი,. აქედან — 96 ათას ტონამდე რქაწითელი და 30 ათას ტონამდე საფერავია. ივლისსა და აგვისტოში რეგიონში ძლიერი გვალვის გამო რამდენიმე ასეულ ჰექტარზე ყურძენი დაზიანდა და ვაზზე დაჭკნა, შესაბამისად, მოსავლის რაოდენობა შემცირდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №1407 განკარგულებით დამტკიცდა 2014 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები. 2013 წელთან შედარებით, წლეულს მთავრობამ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე სუბსიდია 5 თეთრით შეამცირა და 35 თეთრია, 1 კილოგრამ საფერავზე კი სუბსიდია 10 თეთრით შემცირდა და 15 თეთრს შეადგენს.

სუბსიდიის შემცირება სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ყურძენზე გადაჭარბებული მოთხოვნით ახსნა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 7 თვეში (იანვარი-ივლისი) მსოფლიოს 35 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 31 376 279 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 95%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელორუსი. რუსეთი 65%-ით ლიდერობს ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 7 თვის მონაცემებით 20 502 499 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი.

საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 102 186 500 აშშ დოლარის პროდუქცია, რაც 117%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში **12 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 455 295 (0,5ლ) ბოთლი ბრენდი. წლის განვლილ 7 თვეში ბრენდის ექსპორტმა თანხაში 22 973 604 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 66%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.** ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებში ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-ივლისის პერიოდში ექსპორტმა — 3 341 904 ბოთლი შეადგინა, მეორე ადგილს 2 636 496 ბოთლით რუსეთი იკავებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2 სექტემბრის მდგომარეობით, რთველში უკვე 57 ღვინის კომპანია მონაწილეობს.

28-30 აგვისტოს, როცა 1 კილოგრამ საფერავზე ყველაზე მაღალი ფასი 2-2.40 ლარი დაფიქსირდა, ყურძენს 34 ღვინის კომპანია იღებდა. მათ შორის იყვნენ ს/ს „თელიანი ველი“, შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, შპს „ასკანელი ძმები“, ს/ს „თელავის ღვინის მარანი“ და ა.შ.

„თელავის ღვინის მარნის“ წარმომადგენლის, თენგიზ ჯავახიშვილის განმარტებით, კომპანიამ 29-30 აგვისტოს 1 კილოგრამ საფერავში 2.20 ლარი გადაიხადა. „ფასი მერყეობდა 2 ლარიდან ზემოთ ადგილწარმოშობის ზონების, შაქრიანობის და ხარისხის მიხედვით“.

— 34-მა კომპანიამ ერთდროულად რომ შეამცირა ფასი 1.50 ლარამდე, ეს რამ გამოიწვია?

— არ იყო რეალური ფასი და იმიტომ.

— თუ რეალური ფასი არ იყო, მაშინ რატომ იხდიდით?

— ასე გადავწყვიტეთ.

29-30 აგვისტოს საფერავში 2.10 ლარს იხდიდა შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“, რომელიც ყურძენს გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ქარხანაში იბარებს. 31 აგვისტოს, ქარხანაში მისულ მევენახეებს განუცხადეს, რომ ყურძენს 1.50 ლარად ჩაიბარებდნენ.

„წინა დღეს 2.10 ლარს იხდიდნენ. სოფლის გამგეობაში ცნობა ავიღე, მეორე დღეს ყურძენი დავკრიფე, მოვიტანე და ფაქტის წინაშე დამაყენეს. ლარნახევრად თუ გინდა, ჩავიბარებთ თუ არადა უკან წაიღეო. ფასი რატომ დააკელით-მეთქი და მიპასუხეს, კერძო კომპანიაა და რა ფასადაც გვინდა, იმ ფასად ჩავიბარებთო“, — უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ახაშენში მცხოვრებმა მევენახემ გიორგი ბეგაშვილმა.

შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ“-ის დირექტორი კობა მკალავიშვილი 34 კომპანიის მიერ საფერავზე ფასის ერთდროულად შემცირების მიზეზებზე არ საუბრობს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი კანონიერი ქურდები იცვლებიან, რათა გადარჩნენ

საშუალო ასაკის გამხდარი, არაფრით გამორჩეული რამდენიმე მამაკაცი თვალმოუწყვეტლივ მისჩერებია ობიექტივს, იღებენ სურათს ქართული ეკლესიის ფონზე. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ესაა მორწმუნეთა ფოტოგრაფია. მაგრამ ეს ასე არაა. ეს მამაკაცები ლუდით გაბერილი მუცლებით არიან, არსებული მონაცემებით, საქართველოს დანაშაულებრივი სამყაროს ბოსები, რომლებიც უფრო აქტიურად მუშაობენ იმისთვის, რომ საქართველოს დანაშაულებრივი სამყაროს ბოსები შეეწყონ ხელისუფლებას და გადარჩნენ.

ადრე ყველაფერი უფრო მარტივი იყო. საბჭოთა საციხეო-გამასწორებელი სისტემის პროდუქტები, ქართველი კანონიერი ქურდები, დანაშაულებრივი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც ქურდული სამყაროს მკაცრი კანონებით ცხოვრობენ, ოდესღაც ითვლებოდნენ „დანაშაულებრივი სამყაროს ელიტად“, რომლებსაც ოდესღაც სპეციალური სახელმწიფო ესკორტით მიაცილებდნენ ხოლმე თბილისის აეროპორტიდან.



მაგრამ ერთ-ერთი გამოცემის ახალ გამოკვლევაში სახელწოდებით – „დანაშაულებრივი სამყაროს რეორგანიზაცია: პოსტსაბჭოთა საქართველოს მაფია და ანტიმაფია“ – ბრიტანელი კრიმინოლოგი გევინ სლეიდი გვერდს უვლის ჩვეულებრივ ხერხს, რათა უფრო კარგად შეხედოს ქართველ კანონიერ ქურდებს სოციოლოგის წმინდა აკადემიური თვალსაზრისით არა როგორც ლეგენდას, არამედ როგორც მარადის ცვალებადი გარემოს პროდუქტს.

და ესაა ამ გამოცემის უდიდესი ღირებულება.

გამოკვლევის ავტორი, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ქურდების მთავარ ექსპერტად ითვლება, ასახელებს იმ მიზეზების რაოდენობას, რომლებიც ხელს უწყობენ კანონიერი ქურდების მოსვლას ხელისუფლებაში 1980 და 1990-იან წლებში, საბჭოთა პერიოდის ჩრდილოვანი ეკონომიკის დროს, როდესაც სამართალდაცვისა და სასამართლო სისტემები არ იყო ეფექტიანი.

ყველაფერი მეტად მარტივია: საქართველოს მოსახლეობას აქვს თავისი გაჭირვებები (იქნება ეს იტალიური შოკოლადის პასტა თუ მოპარული ავტომობილი, რომლებიც ვერაფრით აღმოაჩინეს სამართალდაცვის ორგანოებმა), რითაც კანონიერ ქურდებს შეუძლიათ უზრუნველყოს იგი.

თუმცა, აქ იმალება გარკვეული დაპირისპირება. გვერდზე რომ გადავდოთ სოციოლოგიურ-კულტურული განმარტებები კანონიერი ქურდების ყოფილი გავლენის შესახებ – თითქოსდა, მტკიცებულებები ძლიერი თავისუფლების მოყვარე მამაკაცების, განსაკუთრებული „მენტალობის შესახებ“, ავტორი აღიარებს, რომ ასეთი განმარტებანი მაინც არსებობს.

„საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთშეღწევამ“ არსებითი გავლენა მოახდინა ქურდული სამყაროსა და სახელმწიფოს შორის კავშირურთიერთობის გაჩენაზე, აღნიშნავს ავტორი.

როდესაც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, მკითხველი შეიძლება დაინტერესდეს ამ ყოფილი ურთიერთობების წვრილმანებზე ორივე მხრიდან. თუმცა, ასეთი წვრილმანები არ იქნება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, კანონიერი ქურდები და მათი გარემოცვა როგორც ამჟამინდელი, ისე ძველი, არ გამოირჩევიან თავიანთი ლაყბობით. თანაც, ეს არის საცნობარო გამოცემა და არა რომანი „ნათლია“.

მაგრამ 53 ინტერვიუდან, რომლებიც წიგნშია მოყვანილი, მხოლოდ სამი წარმოადგენს საუბარს პირებთან, ან იმ ადამიანებთან, რომლებსაც ჰქონდათ ურთიერთობა „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“, ანდა საქმეში მყოფ რომელიმე კანონიერ ქურდთან.

გამოცემა ასევე არ შეიცავს ყველაზე ცნობილი და უეჭველი ქართველი კანონიერი ქურდების საცნობარო სიას, თუმცა, მოიცავს ქურდული ტერმინების ყველაზე ხშირად გამოყენებულ ლექსიკონს.

მკითხველისათვის ყველაზე მიმზიდველი მომენტები არის იმ თავებში, სადაც ავტორი ცდილობს, გააანალიზოს, თუ კანონიერმა ქურდებმა როგორ მოახერხეს ქართველ საზოგადოებაში ინტეგრირება – იმიტომ, რომ მათში ხედავდნენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ „გაერკვნენ სიტუაციაში, ძალის გამოუყენებლად“. ფაქტობრივად, ეს არის ბიულეტენები, ანდა, უხეშად რომ ვთქვათ, ერთ-ერთი ყოფილი ქუთაისელი პოლიციელის თვალყურის დევნების შედეგი, რომელსაც ჰყავდა „დიდი მანქანები“ და ჰქონდა „ფული“.

ყველა ეს სავარაუდო უპირატესობა, ბუნებრივია, გაქრა, როდესაც 2004 წელს საქართველოს ექს-პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააჩაღა გადამჭრელი ბრძოლა ქურდებთან.

ამ მომენტისათვის ცვლილებები, როგორც გევინ სლეიდი აღნიშნავს, უკვე ქრებოდა. ნაცვლად სასჯელაღსრულების ადგილებში ჯდომისა, კანონიერ ქურდებს გაუჩნდათ ფული (ერთ-ერთ შემთხვევაში 300 ათასი დოლარიც კი) და ოჯახური კავშირები.

როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, ამ პროცესმა მოგვაგონა სიტუაცია, როდესაც ბრიტანეთის საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხელს აწერს კონტრაქტს, რომელიღაც ლეგენდარულ მოთამაშესთან... შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ის, თურმე, საერთოდ არ თამაშობდა ფეხბურთს...“

შედეგად საზოგადოების დამოკიდებულება, კანონიერი ქურდებისადმი შეიცვალა უარესობისკენ. საკვანძო ამოცანა მათთვის გახდა რეპუტაციის აღდგენა, რასაც თან ახლდა მცდელობა – მოეპოვებინათ საზოგადოების კეთილი განწყობა გავლენიანი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დახმარებით.

სხვებმა, როდესაც გადაეყარნენ სააკაშვილის შეურიგებელ ბრძოლას კანონიერ ქურდებთან, დატოვეს ქვეყნის საზღვარი. ამ ტენდენციამ 2012 წელს მიგვიყვანა ახალი კანონიერი ქურდის „კორონაციასთან“ სკაიპით.

გევინ სლეიდის ღირსებად, რომელმაც მიაწოდა მასალა გამოცემას, უნდა ითქვას, რომ, როდესაც საუბრობს ამ პერიოდის შესახებ, იგი არ ლაპარაკობს სააკაშვილის ყბადაღებულ რეფორმებზე საგზაო პოლიციასთან დაკავშირებით.

იგი სამართალდაცვის ორგანოების რეფორმირებას „წარმატების ისტორიას“ უწოდებს, მაგრამ გვაფრთხილებს, რომ „პოლიციის მხრიდან უფლებათა კვლავინდელი ბოროტად გამოყენებანი, სამოქალაქო კონტროლისა და პოლიტიზაციის უქონლობა „ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან დარღვევებთან და წამებებთან ერთად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“ ნიშნავს, რომ საქართველო არ შეიძლება მივიჩნიოთ „ნიმუშად სხვა ქვეყნებისათვის“ ორგანიზებულ დანაშაულობებთან ბრძოლის საქმეში.

სამართლიანი კრიტიკაა. მაგრამ ავტორი ზოგჯერ სააკაშვილის პოლიტიკას კანონიერ ქურდებთან დაკავშირებით აღწერს ზოგადი ხაზებით.

სააკაშვილის მმართველობის პირველ წლებში დანაშაულებრივი სამყაროსთან ბრძოლა ხელისუფლების აზროვნებაში, იყო ერთ-ერთ პირველ ადგილზე, მაგრამ ვადის დასრულებისათვის, 2004-2012 წლებში, უკვე აღარ იყო ხელისუფლებისათვის „ნებისმიერი კრიზისული სიტუაციისა ან საფრთხის“ განმარტება. ეს როლი უფრო მთლიანად და სავსებით გადაეცა რუსეთს.

რა ცვლილებები განიცადა ამ კურსმა 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ მართვის დროს, ამის შესახებ გამოცემა არ საუბრობს. ეს თემა ამჟამად გახდა საქართველოში პოლიტიკური თამაშის საგანი.

ინფორმაციის ასეთი უქონლობა ღიად ტოვებს საკითხს სამართალდაცვის ორგანოებისა და ციხის სისტემის რეფორმირების შესახებ კანონიერ ქურდებთან დაკავშირებით საქართველოში ხანგრძლივი პერსპექტივით.

გევილ სლეიდი გვაფრთხილებს, რომ იმ პირთა დიდმა რიცხვმა, რომლებიც სასჯელს იხდიან პატიმრობის ადგილებში, აგრეთვე უმუშევრობის შედარებით მაღალმა დონემ (ოფიციალურად 14,6 პროცენტს რომ შეადგენს) შეიძლება მისცეს კანონიერ ქურდებს შესაძლებლობა დაიბრუნონ დაკავებული პოზიციები.

მოხდება ეს თუ არა, დრო გვიჩვენებს. ბოლოს და ბოლოს, ქართველი კანონიერი ქურდები არიან ცვლილებათა პროდუქტი, მიაჩნია გამოცემის ავტორს.

EURASIANET.ORG

დედამიწის ზურგზე

პუტინმა და პოროშენკომ მოილაპარაკეს ლონბასში ცეცხლის მუდმივი შეწყვეტის შესახებ

სახელმწიფოს მეთაურებმა ტელეფონით საუბრის დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის საჭირო უწინარეს ყოვლისა სისხლისღვრის უსწრაფესი შეწყვეტისათვის. როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დმიტრი პესკოვმა განაცხადა, „ორი ქვეყნის პრეზიდენტების თვალსაზრისი მძიმე კრიზისიდან გამოსვლის გზების შესაძლებლობის შესახებ, მნიშვნელოვნად ემთხვევა ერთმანეთს.“

პუტინი ჩავიდა მონღოლეთში, რათა განიხილოს ეკონომიკისა და უვიზო რეჟიმის აღდგენის საკითხები

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მოლაპარაკებას გამართავს თავის მონღოლელ კოლეგა ცახიაგიინ ელბეგდორჟთან, რომლის დროსაც ელოდებიან ხელი მოაწერონ დაახლოებით 13 დოკუმენტს, მათ შორის, შეთანხმებას რუსეთის მონღოლეთისათვის უფასო სამხედრო ტექნიკური დახმარებისა და რკინიგზების მოდერნიზაციის შესახებ. ვიზიტი დაამთხვიეს საბჭოთა-მონღოლელი ჯარების მიერ ხალხინგოლზე იაპონიის არმიის განადგურების 75 წლისთვის.

იაპონიის მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგა – ახალ მინისტრთა კაბინეტში 5 ქალი მოხვდა

როგორც იაპონიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, ქალი მინისტრების რაოდენობის გაზრდა ორიდან ხუთამდე მოწმობს ქალების სტატუსის ამაღლების პოლიტიკის გაგრძელებაზე საზოგადოებაში, რასაც პრემიერ-მინისტრი სინძო აბე ატარებს. მან შეარჩია ერთბაშად 11 მინისტრი, მათ შორის, სამხედრო, იურიდიული და ეკონომიკური უწყებების ხელმძღვანელები.

ლატვია უკრაინის მოვლენების გამო მუდმივად ავსებს შემოსვლის უფლებაჩამორთმეულ მოქალაქეთა „შავ სიას“

„უკრაინაში მოვლენების შემდეგ ლატვიის შესაბამისი სამსახურები მეტად აქტიურად მუშაობენ. მუდმივად ნახულობენ ადამიანებს, რომლებიც ემუქრებიან ეროვნული უშიშროების საფრთხეს“, – განაცხადა ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რიხარდ კოზლოვსკისმა. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ლატვიის სიაში 45 პერსონა ნონ გრატია.

◎ პოეტი პოეტს ეხმიანება

„საგალობლები უფლისთვის“

ანუ გენო კალანდიას მეორედ დაბადება

არ მახსოვს,რომელ ენციკლოპედიაში ამოვიკითხე,ფუტკარმა ათასი გრამი თაფლი რომ შექმნას, ორ მილიონ ყვავილს უნდა გადაუფრინოსო. **გენო კალანდიას** ახალი წიგნი **„საგალობელი უფლისათვის“** რომ წავიკითხე, ეს ინფორმაცია დაწინაურდა ჩემი მეხსიერების ზედაპირზე. ფუტკრისა და პოეტის შრომა რომ ღვთაებრივი მადლია და ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, შეიძლება ყველამ არცკი იცოდეს. მე ნამდვილად არ ვიცი, რამდენ მილიონ ყვავილს გადაუფრინა გენო კალანდიას შთაგონებამ, რომ ღმერთისთვის მიძღვნილი ათასსტრიქონიანი საგალობელი შეექმნა. ეს საგალობლები გზადაგზა ქვეყნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში“. მე მათ ხარბად ვეწაფებოდი და აღვიქვამდი, როგორც ძალიან მნიშვნელოვან და საეტაპო მოვლენას პოეტის ცხოვრებაში. გულახდილად ვიტყვი, ლიტერატურულ პრესაში ჩემდამი მოძღვნილი საგალობელი რომ წავიკითხე, ძალიან გამიხარდა.

პოეტი გენო კალანდია ჩემი მეგობარია,მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ის ჩემი მეგობარია. აქ უმთავრესი ის არის, რომ იგი პოეტია. შემეძლო, მეთქვა რომ „კარგი პოეტია, მაგრამ არ ვთქვი, იმიტომ, რო „პოეტს“ ზედსართავი აღარ სჭირდება. ეს სიტყვა თავისთავად გვეუბნება მთავარს. ნობელიანტი ბროდსკიც ასე თვლის. ადამიანი ან არის პოეტი, ან — არა. მგონი ძალიან ზოგად პრობლემას მივადექი. ცხადია, რომ მისი აქ გადაწყვეტა შეუძლებელია. იმასაც გაიგონებ, ლექსები დიდი ვერაფერი, მაგრამ ძალიან კარგი ბიჭიაო. მე ცუდი ლექსების კარგ ბიჭს, კარგი ლექსების ცუდი ბიჭი მირჩევნია. გენო კალანდიაში ორგანულადაა შერწყმული „კარგი ბიჭი“ და „კარგი პოეტი“. ამ შემთხვევაში მე საქმე გაადვილებული მაქვს, რადგან გენო კალანდია ჯერ პოეტია და მერე ყველაფერი სხვა, დაარქვით რაც გინდათ.

დიდებული თამაზ ჭილაძე თვლის, რომ ლექსები თავად ლაპარაკობენ თავის თავზე. ეს უკვე პოეტის გამარჯვებაა. მე გენოს ტელეფონით მივულოცე რუსთაველის პრემია. აქ მთავარი პრემია კი არ არის, არამედ მთავარიც და უმთავრესიც ისაა, რომ გენოს ლექსებში ბევრი პოეზიაა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ არც ერთი პრემია, მათ შორის ნობელიც, არ არის უკვდავების მოწმობა, გნებავთ საგზური. საგალობლების ავტორს მანამდე რომ არ ჰქონოდა მიღებული, დარწმუნებული ვარ, ეს ციკლი მიიღებდა ამ უმაღლეს ეროვნულ ჯილდოს. იმის იმედსაც ვიტოვებ, რომ ჩვენი საპატრიარქო და მისი საჭეთმპყრობელი ბრძენი პატრიარქი საკადრის პატივს მიაგებს ამ წიგნს. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ პატრიარქმა ამ წიგნის ავტორი საგანგებოდ მიიწვია საპატრიარქოში და ესაუბრა. რვაასი წლის წინათ დაგვმოძღვრა ჩემმა დიდმა სეხნიამ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“. მზის ქვეშეთში ყველაფერი ღვთის ნებით ხდება და ვერავითარი ანტიქრისტე ვერ ჩარეცხავს ქართულ პოეზიას, რომელიც ქრისტიანული სულიერების წიაღში აღმოცენდა და ჩვენცა და ჩვენი პოეზიაც ქრისტიანული კულტურის ნაწილი ვართ. გენო კალანდიას ლექსების ეს ციკლი სწორედ, რომ სულზე მისწრებაა სადღეისო პრობლემებთან, როცა ოთხივე მხრიდან შემოტევაა ქვეყნის შინაური და გარე მტრებისგან. ის, რაც ჩვენი პარლამენტის სპიკერმა თქვა მართმადიდებლობაზე, მსგავსი თურქეთის მეჯლისის სპიკერს რომ ეთქვა თავიანთ აღმსარებლობაზე , ახლა მისი ბუნდღაც აღარ იქნებოდა. ახლახან ვაჟა-ფშაველა გაგვიგლანძღეს ქართველმა კოსმოპოლიტებმა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ტელეარხები და ყვითელი პრესა ტუალეტის პოეტებისა და პორნოავტორების წიგნების წარდგინებებს პიტნასავით გვტენიან ცხვირში, ხოლო ის განუკითხაობა, რაც ჩვენს მწერლობაში სუფევს, კომენტარებსაც კი აღარ ექვემდებარება. საბედ-

ნიეროდ, კვლავაც და კვლავაც იწერება ღვთაებრივი მადლით აღბეჭდილი ლექსები. იმედით ისიც მავსებს, რომ „საგალობლები უფლისთვის“ გამონაკლისი არ არის. გენო კალანდიას თაობას კვალში უდგას არაერთი ახალგაზრდა ავტორი. ღმერთმა ნუ წამართვას იმის რწმენა, რომ ქართული მწერლობა კვლავაც და კვლავაც გაბრწყინდება ძვირფასი სახელებით.

გენო კალანდია ის პოეტია, რომელმაც სიკვდილის გზა გამოიარა. ამ გზას ჭუბერი ჰქვია, რომელიც აფხაზეთიდან დევნილთა გოლგოთა იყო. გენომ გამონახა შინაგანი ძალების რესურსი და სულიერად არ დაეცა. ადვილი როდია, მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაშენ-ნალოლიავები ერთ დღეში გამოგეცლება ხელიდან და ცარიელ-ტარიელი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცევი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1991-1992 წლებში ქართველმა პუტჩისტებმა და მათმა მხედრიონმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს პოეტის მშობლიურ მხარეს. გენო კალანდია არ გაქცევია ქართულ რეალობას, თბილი თავშესაფარი ძლიერთა ამა სოფლისანთა რიგებში არ უძებნია. იგი მაშინაც და ახლაც სამშობლოს საგუშაგოზე დგას მხატვრული შესაძლებლობითა და ეროვნული ცნობიერებით.

კომენტატორებმა შენიშნეს, რომ „საგალობლები უფლისთვის“ პოემასავით იკითხება. ეს არის უსიუჟეტო ლირიკული ფრაგმენტების ციკლი, რომელიც დანაღმულია მშვენიერი მეტაფორებით. ახლა უკვე მივადექი მთავარ სათქმელს.ყველაზე უკეთ პოეტმა იცის, რომ მკითხველს სძულს ლექსები და უყვარს პოეზია. სწორდ, რომ ასეთი თვალით წავიკითხე ეს ციკლი, რომელიც გაჟღენთილია უფლის სიყვარულითა და მადლით, რასაც პოეზია ჰქვია. „ღმერთო, მიშველე ღატაკს და დევნილს და მარად მდიდარს სიტყვით და მადლით,“ საგალობლებს ეპიგრაფის გვირგვინად ადგას და მთელ ციკლს თვალსაჩინო ზოლად გასდევს ეს პოეტური თეზა. მინდოდა ამომეწერა სანიმუშო მეტაფორები, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მზამზარეულ რეცეპტს, ჯობია, მკითხველმა თავად მოიძიოს და გაითავისოს ისინი.

საგალობლებს არაერთი საინტერესო შეფასება მოჰყვა. კომენტარებში თავისებურად აღიქვამენ ამ ციკლს და სავსებით მართებულადაც.

მე არ შემიძლია, არ გავიზიარო მათი შთაბეჭდილებები. დარწმუნებული ვარ, არც ისინი შეაქცევენ ზურგს ჩემს კომენტარებს, მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილების პრეტენზია არ გამაჩნია.

მინდა, ძვირფასი თამაზ ჭილაძის თქმისა არ იყოს, ლექსებს დავაცალო თავის თავზე საუბარი. ვნახოთ მათი მორალურ-ზნეობრივი და ესთეტიკური ენერგია და გამომსახველობით საშუალებათა რესურსი.ეს ის მომენტია, მეტაფორა წაიკითხო და გაჩუმდე. მე საგალობლებს აღვიქვამ,როგორც დუმილით აღქმის პოეზიას, რომლის წყაროა მართლმადიდებლური მორალის მცნებათა მხატვრული რეალიზაცია, ბიბლიური მოტივებისა და ჩვენი ბრძენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგებებში განსახიერებული ზნეობრივი კულტურის თეზისების სახისმეტყველური ინტერპრეტაცია.

„უფალო, ყველას სადარდელს ვდარდობ, დღითი დღე მიმძიმს სუნთქვა და ფიქრი, ვით ჩემს სამარეს დავყურებ მაღლობს, გაფეთქილს თეთრი შროშნების ფიფქით.

ყოფნა არყოფნის ზუზუნებს ქარი, აგერ ჩემს გვერდით, აგერ ჩემს ახლოს, ღმერთო, გამიღე ის დიდი კარი, რომ იქ ნამდვილი კაცები ვნახო.“

ვერაფერს იტყვი. საგალობლებში ადამიანი მოჩანს, როგორც ღმერთის მესამე თვალი. ეს სინტაგმა („მესამე თვალი“) იუნა მორიცის მეტაფორებშიც შემხვედრია, ოღონდ იქ სულ სხვა შემეცნების მატარებელია.

„უფალო, ზოგჯერ ტირილი მინდა, ზოგჯერ ისეთი უმწეო ვხდები, რომ არა შენი ხატება წმინდა, რომ არა ჩვენებრ ერთგულის ფრთები“.

„არ იქნებოდა სოფელი სრული, არ იქნებოდა ზეფირი მალი, შენ ხარ, შენ — ჩვენი უკვდავი სული, ჩვენ კიდევ შენი მესამე თვალი.“ ვეღარ ვიხსენებ ვისი სიტყვებია, მეტაფორა დასრულებული ლექსიაო.

მაინც ვერ ვთქვი, თუ რამდენ მილიონ ყვავილს გადაუფრინა პოეტის შთაგონებამ, როცა ამ საგალობლებს წერდა. გივი გეგეჭკორის ერთი ლექსი მახსენდება, პოეტი დღისით ანთებულ ნათურას ჰგავს, რომელსაც ვერავინ ამჩნევს.მაგრამ, როცა ღამდება და სიბნელე დაისადგურებს ირგვლივ, ანთებული ნათურით ყველა თანაბრად სარგებლობს. ჩემი დიდი სურვილია, დღისითაც და ღამითაც ენთოს გენო კალანდიას პოეტური ნათურა.

შოთა ზოიძე

◎ ალიანჩალიანი

განსაკუთრებულ გამზადებული არწივი დიდგორში გაუშვეს

თბილისში ჩია არწივით უკანონოდ ვაჭრობის ფაქტი გამოავლინეს. აღნიშნული ფაქტი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ერთ-ერთ ინტერნეტ-პორტალზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმების შედეგად გამოავლენეს.

სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 854-ე მუხლის შესაბამისად, უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, დერივატებითა და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა ჯარიმით ისჯება.

მუხლი ასევე ითვალისწინებს ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი დერივატებისა და მათგან გამომუშავებული პროდუქციის კონფისკაციას. სამართალდამრღვევის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები გატარდა, ხოლო ჩამორთმეული არწივი, სპეციალისტების რეკომენდაციით ველურ გარემოში, დიდგორის მიმდებარე ტერიტორიაზე გაუშვეს.

◎ მწერალთა სახლის საღამოები

განძის მფლობელი მეზღაპრე

— ეს ეროვნული საგანძურია, რომელიც არაერთხელ გამოადგება საქართველოსო, — აღნიშნა თავის გამოსვლაში კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ. ასეთი შექება ეკუთვნოდა ახლახან, გამომცემლობა „პალიტრას“ მიერ **გამოცემულ გურამ პეტრიაშვილის „პატარა ქალაქის ზღაპრების“** კრებულს, რაც მიზეზი გამხდარიყო კიდეც მწერალთა სახლში გურამ პეტრიაშვილთან შეხვედრისა.

ეს სიბრძნით, სიყვარულით, დიდი მწერლური ფანტაზიით სავსე ზღაპრები ორჯერ წასაკითხია — ბავშვობაშიც და დიდობაშიც, რადგან ყველა თაობის გემოვნებას აკმაყოფილებსო, — ესეც დაამატა ლევან ბრეგაძემ.

თავიდან კი დარბაზს — ახლობლებს, მეგობრებს, ყველას ვინც მისი ნიჭის ფასი იცის, გურამ პეტრიაშვილი მოუყვა თავის ბავშვობასა და ყრმობაზე, სკოლაზე, უნივერსიტეტზე, საყვარელ მასწავლებლებზე, ლექტორებზე... ისიც კი გაიხსენა, როგორ გადასცა ერთხელ ბატონ მიხეილ კვესელავას, თავისი ლექსები, რათა წაეკითხა ისინი საყვარელ ლექტორს და აზრი ეთქვა. ბატონი მიშაც როგორ დაიზარებდა, წაიკითხა ლექსები და ავტორს ურჩია, გაეგრძელებინა ლექსების წერა.

— თუმცა, მეზღაპრეობამ ძალიან გამიტაცა, — გვითხრა გურამმა. — მერე, მოგვიანებით, გავბედე, შევაგროვე ეს ზღაპრები (თითქმის ყველა ამ კრებულშია მოქცეული) და ვესტუმრე გამომცემლობა „ნაკადულს“, გავიცანი შესანიშნავი, გულისხმიერი ქალბატონი ჩიტო ბაჯელიძე და მისი რედაქტორობით გამოვიდა კიდეც ზღაპრების კრებული, რომელიც შემდეგ მრავლ ენაზე ითარმგნა, წარმოიდგინეთ, იაპონურადაც... ჰოდა, როგორ არ მიხაროდეს, რომ ამჯერად გამომცემლობა „პალიტრამ“ დიდი პატივი დამდო და ჩემი ზღაპრების კრებული, კარგა ხნის შემდეგ ერთხელაც გამოდის, მე ბედნიერი იმითაც ვარ, რომ წიგნის ილუსტრაციები შექმნა უნიჭიერესმა მხატვრმა **ნინო ჩაკვეტაძემ**. მან იმ დონეზე გააფორმა ზღაპრები, რომ, შეიძლება ითქვას, ისიც ამ კრებულის ავტორია, ანუ ორი ავტორი ჰყავს „პატარა ქალაქის ზღაპრებს“... ერთი კია, კომუნისტების დროს გამოცემულ კრებულთან შედარებით, გაცილებით ძვირია ახლანდელი გამოცემა... თუმცა, ყალბი თავმდაბლობა რად მინდა, — ვინც იყიდის არ წააგებსო: — განაცხადა გურამმა.

გეთანხმებით გურამ, გვჯერა შენი!

ვილენ მარდალეიშვილი



◎ პროფესიული კრივი

მეტოქემ ოთხ რაუნდსაც ვერ გაუძლო

გერმანიის დედაქალაქ ბერლინში WBU-ს (World Boxing Union) ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჩვენი თანამემამულე გარი აბაჯიანი და გერმანელი კრის ჰერმანი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ორივე გამოცდილი მოკრივეა. აბაჯიანს აქამდე პროფესიულ რინგზე 43 ბრძოლა ჰქონდა გამართული, საიდანაც 24 მოეგო (საგულისხმოა, რომ მან 2006 წელს EBU-EE-ს ტიტულისთვის პაექრობა უკრაინაში დათმო). ჩვენებურის მეტოქემ 24-დან 19 შეხვედრა მოიგო, თანაც ალემანმა 2012 წელს GBC intercontinental-ის ქამარი მოიპოვა. ასე რომ, ბერლინის რინგზე ტყავის ხელთათმნის ღირსეული ოსტატები შეებნენ ერთმანეთს, თუმცა ორთაბრძოლა ვერ გამოდგა თანასწორი – თბილისელმა მოკრივემ მესამე რაუნდში ჰერმანს მუცლისა და თავის არეში ზედიზედ ძლიერი დარტყმებით საყრდენი გამოაცალა და კრისიც რამდენჯერმე ნოკდაუნში აღმოჩნდა. მე-4 რაუნდის დასაწყისში გარის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ რეფერიმ ტექნიკური ნოკაუტის გამო ორთაბრძოლა შეწყვიტა. აბაჯიანმა WBU-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

ლაშა დიდია

სურათზე: გარი აბაჯიანი საჩემპიონო ქამრით.

◎ ჭიდაობა

ისინი მსოფლიოზე იასპარეზებენ

უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი 8 სექტემბრიდან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის ქართველმა ფალავნებმა ბოლო საწვრთნელი შეკრება ბორჯომში გაიარეს. ასპარეზობაში თავიდან

თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. მედალოსნების ვინაობა 8-9 სექტემბერს გაირკვევა. ამ სახეობაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიური ჩემპიონის რევაზ მინდორაშვილის ხელმძღვანელობით უზბეკურ ხალიჩაზე ძალებს მოსინჯავენ ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57), ბექა ლომთაძე (61), მიხეილ ზარქუა (65), ალექსანდრე ჯაჭვაძე (70), ჯუმბერ ყველაშვილი (74), დავით მარსაგიშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე (97) და გიორგი საკანდელიძე (120). ამათგან, ხინჩეგაშვილისა და მარსაგიშვილის გარდა, ყველა მსოფლიოსთვის შესარჩევი შეჯიბრების – „ჩემპიონთა თასის“ გამარჯვებულია. ხინჩეგაშვილს იმ ტურნირზე არ უჭიდავია – მწვრთნელებმა ევროპის წლევანდელი ჩემპიონი დაასვენეს. მარსაგიშვილი, მართალია, ნოდარ ეგაძესთან დამარცხდა, მაგრამ გადამწყვეტი შეკრებისას უკეთეს ფორმაში იყო და ნაკრებშიც დაიბევა ადგილი. საგულისხმოა, რომ ლომთაძე, ჯაჭვაძე, ყველაშვილი, ოდიკაძე და ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვერცხლის მფლობელი საკანდელიძეც მსგავსი შეჯიბრების დებიუტანტები არიან.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გოდერძი დავითაძე (59), რევაზ ლაშხი (66), მინდია წულუკიძე (71), ზურაბ დათუნაშვილი (74), გიორგი ცირეკიძე (80), ვლადიმერ გეგეშიძე (85), ვასილ იმერლიშვილი (98) და იაკობ ქაჯაია (130) დაასახელა. ჩვენი „კლასიკოსები“ 4 სექტემბრიდან შეჯიბრების დაწყებამდე ჩიმკენტში გაივლიან ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას და 12 სექტემბერს ჩემპიონატში ჩაებმებიან.

ლექსო ციწცაძე

◎ ისევ აზიაში?

ქართველ კალათბურთელს ჩინეთის ჩემპიონატში ეპატიჟებიან

31 წლის ქართველმა კალათბურთელმა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა, შესაძლოა, კარიერა ჩინურ „შანქსი ჟონგიუში“ გააგრძელოს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „ევრობასკეტი“ ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ წლებში „სკიტა“ სწორედ აზიურ კლუბებში ირჯებოდა. ბოლოს არაბეთის გაერთიანებული საამიროების წარმომადგენელ „ან ნაჰლ შარჯაში“ ირიცხებოდა, მანამდე კი ლიბანური „ჩემპვილის“ (27 მატჩში საშუალოდ 17 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება) და ირანული „ფულად მაჰანისა“ და „მაჰრამის“ მაისურით თამაშობდა, რომელსაც 2011-12 წლების სეზონში ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა და ტურნირის პირველ სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა.

ცნობისთვის: გასულ სეზონში „შანქსი ჟონგიუ“ კარგად ნამდვილად არ გამოიყურებოდა: 10 მოგება და 24 მარცხი მოუგროვდა, რაც 18-გუნდიან ჩინურ ლიგაში მე-16 ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი. არადა, ამ გუნდის ლიდერი გამოცდილი ამერიკელი ცენტრი ბაირონ მალინსი გახლავთ, რომელსაც თავის დროზე „შარლოტის“, „კლიპერსის“ და „ფილადელფიას“ ღირსება დაუცავს. აქვეა კიდევ ერთი ამერიკელი ვონ ვეიფერიც, ვისაც რუსულ „კრასნი ოქტიაბრში“ და ამერიკული დ-ლიგის ბინადარ „ბეიკერსფილდში“ უთამაშია.

საერთოდაც, ბოლო პერიოდია ჩინური კლუბები ლიგის გაძლიერებაზე სერიოზულად მუშაობენ. მაგალითად, აგვისტოშივე აღნიშნული მიმართულებით აიღეს გეზი საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნატურალიზებულმა მოთამაშეებმა –ჯეიკობ პულენი „ბარსელონადან“ „ლიაონინგში“ გადაბარგდა, ხოლო კორი ფიშერმა რუსული „ენისეიდან“ „ფუჯიანს“ მიაშურა.

გარდა ამისა, ჩინური კლუბების განაცხადებისთვის თვალის გადავლებისას არაერთ სახელოვან ამერიკელს აღმოვაჩენთ. თავადაც განსაჯეთ: ჯილბერტ არენასი, ბობი ბრაუნი, ჯასტინ დენტმონი, მარკუს ჰეისლიპი, ალ ჰარინგტონი, პუჰ ჯეტერი, სტივენ მარბერი, დელონტე ვესტი, შელდენ უილიამსი, მეტა ვორლდ პისი...

მოკლედ, ცქიტიშვილს, რომლის სახელიც ბოლო პერიოდში მივიწყებული გახლდათ, ჩინური ტრანსფერის შემთხვევაში კონდიციებში შესვლის შანსი მიეცემა და ეს საქართველოს ნაკრებისთვისაც კარგი უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული გუნდი 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეა გასული და მომავალი სექტემბრისთვის განაცხადში „სკიტას“ დარი გამოცდილი მოთამაშის ყოლა ურიგო ნამდვილად არ იქნება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ცოტა რამ წარსულიდან

ქართველები ბრიტანელებთან - სად და როგორ?

7 სექტემბერს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ უმნიშვნელოვანეს მატჩს ველით: საქართველოს ეროვნული ნაკრები ისტორიაში მეთერთმეტე შესარჩევ ციკლს იწყებს და ირლანდიას მასპინძლობს, ნაკრებს, რომელსაც ხუთჯერ შეხვედრია და ხუთივეჯერ წაუგია – აქედან ოთხჯერ შესარჩევში და ერთხელაც, ბოლოს შარშანდელ ამხანაგურში 0:4.

„ახლა მოგების დროა. ირლანდიელებმა ჩვენზე უკეთ არ იციან ფეხბურთის თამაში და მათ ბრძოლაშიც თუ არაფერს დავუთმობთ, მჯერა, რომ მოვიგებთ“ – თქვა თემურ ქეცბაიამ პრესკონფერენციაზე.

ქეცბაიას ჯგუფიდან გასვლა ამოუჭრია გულში, საამისოდ კი უშუალო კონკურენტებს უნდა მოუგოს საშინაო მატჩში. ირლანდია სწორედ ასეთია – არც გამოკვეთილი ფავორიტია გერმანიასავით და არც აუტსაიდერი გიბრალტარივით.

ირლანდია დიდ ბრიტანეთში არ შედის, თუმცა ტიპიურ ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობს და მათი ფეხბურთელებიც (და მწვრთნელი მარტინ ონილიც) სწორედ ინგლისურ კლუბებში ვითარდებიან, იქ თამაშობენ, იქ იხვეჭენ სახელს.

ამიტომაც საინტერესოა გადავხედოთ ბრიტანელებთან ქართველთა მიერ ჩატარებული მატჩების ისტორიას. საბჭოეთის დაშლამდე მუდამ საუბრობდნენ, თბილისის „დინამოს“ ბრიტანელებთან თამაში გამოსდისო და მართლაც, „ვესტ ჰემისა“ და „ლივერპულის“ მაგალითებიც კმარა, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

მოკლედ, საქართველოს ნაკრები ბრიტანულ ნაკრებებთან:

ინგლისთან

1996. საქართველო-ინგლისი 0:2

1997. ინგლისი-საქართველო 2:0

უელსთან

1994. საქართველო-უელსი 5:0

გოლები: ქეცბაია (2), ქინქლაძე, გოგრიჭიანი, შოთა არველაძე

1995. უელსი-საქართველო 0:1

გოლი: ქინქლაძე

2008. უელსი-საქართველო 1:2

გოლები: ყენია, ბექა გოცირიძე

შოტლანდიასთან

2007. შოტლანდია-საქართველო 2:1

გოლი: შოთა არველაძე

2007. საქართველო-შოტლანდია 2:0

გოლები: მჭედლიძე, სირაძე

ჩრდილოეთ ირლანდიასთან

2008. ჩრდილოეთ ირლანდია-საქართველო 4:1

გოლი: ცქიტიშვილი (პენ)

საქართველოს ნაკრების ისტორიაში სამჯერ მოგვიგია შესარჩევში ბრიტანულ ნაკრებებთან და რადგან ჩვენ იშვიათად ვიგებთ, ყველა ეს გამარჯვება სხვაგვარად გვამახსოვრდება. უელსთან 5:0-ს კომენტარი არ სჭირდება, ქართველებმა საშინელ დღეში ჩააგდეს უელსელთა მძიმეწონასანი მეკარე ნევილ საუთჰოლი, მეტწილად თავზე უგდეს ბურთები და არც უელსში დააკლეს: იქაც გიორგი ქინქლაძემ ულამაზესი ბურთი გაუტანა საუთჰოლს.

როგორ დაგვავიწყდება შოტლანდიასთან ლამაზ სტილში მოგებული 2:0. კლაუს ტოპმიოლერმა იმ დღეს 17 წლის ჭაბუკებიც ათამაშა: გიორგი მაკარიძე, ლევან მჭედლიძე და ლევან ყენია. სამივემ დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში.

ინგლისი ინგლისია, სხვა დონეა და მით უმეტეს, იმ პერიოდში ბრწყინვალე გუნდი ჰყავდათ. გლენ ჰოდლის გაწვრთნილებთან ვერაფერს გახდნენ ქართველები.

ამ ჩამონათვალიდან ყველაზე მწარედ გასახსენებელი ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგური მატჩის წაგება იყო: 1:4. ეს კლაუს ტოპმიოლერის ბოლო მატჩი აღმოჩნდა ნაკრების თავკაცის რანგში. საქართველოს ნაკრები ძალიან არეული იყო.

ამ ეტაპზე წარსულის მატჩები ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმცა საინტერესოა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

სერიის მესამე ეტაპი - მანჩესტერში

ინგლისური მანჩესტერი შვიდკაცა რაგბის გრან პრის სერიის მესამე ეტაპს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები C ჯგუფში მოხვდა, სადაც შოტლანდიას, ესპანეთსა და იტალიას გაუწევს მეტოქეობას. ალბათ, დაუძლეველი ბარიერი არც ერთი ნაკრები არ არის, მაგრამ ჩვენი გუნდის მწვრთნელები შეძლებენ ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას? ტურნირი 19

სექტემბერს იწყება, 20-ში კი „თბილისის კავკასიელები“ „ჩელენჯ კაპის“ გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე სტუმრად იტალიურ „როვიგოს“ ეთამაშება. საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე რჩეულ მორაგბეთა უმრავლესობას, ცხადია, „კავკასიელების“ შემადგენლობაში მიიწვევენ. გაძნელდება ლეგიონერთა გამოძახებაც, თუმცა, ტურნირის დაწყებამდე ჯერ დროა და, იმედია, ჩვენები ინგლისში წარმატებით გამოსასვლელად ყველა შანსს გამოიყენებენ.

გრან პრის სერია

19-21 სექტემბერი

A ჯგუფი: ინგლისი, რუმინეთი, რუსეთი, ბელგია.

B ჯგუფი: პორტუგალია, გერმანია, უელსი, საფრანგეთი.

C ჯგუფი: შოტლანდია, ესპანეთი, საქართველო, იტალია.

გივი გაგუა

◎ რეალობასთან შეუსაბამო

რამდენია ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი?

11 წლის განმავლობაში საარსებო მინიმუმი მხოლოდ 41 ლარით გაიზარდა (?!)

2014 წლის ივლისის მდგომარეობით, საარსებო მინიმუმი საქართველოში 144,7 ლარს გაუტოლდა – ასეთია ოფიციალური მაჩვენებელი, რომელიც „საქსტატმა“ გამოაქვეყნა. „საქსტატის“ პარალელურად, კვლევა ჩაატარა „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმაც“, ოღონდ სულ სხვა – ალტერნატიული მეთოდოლოგიით და სრულიად განსხვავებული შედეგი მიიღო. მათი მონაცემებით, საარსებო მინიმუმი ივლისში 315,4 ლარი გახლდათ, რაც ოფიციალურ მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. საიდან მიიღო ორგანიზაციამ ეს ციფრი?

როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქეთევან კრიალაშვილი ამბობს, „საქსტატი“ საარსებო მინიმუმს სასურსათო და არასასურსათო კალათების 70/30 პროპორციის მიხედვით ადგენს, სასურსათო კალათის ფულად ღირებულებას კი 40 დასახელების პროდუქტის ჯგუფის მიხედვით ანგარიშობს. „ამ პროდუქტების დღიური კვებითი ღირებულება ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე 2 300 კილოკალორიაა. ასეა თუ ისე, საარსებო მინიმუმის ასეთი დაბალი მაჩვენებელი წელს ჯერ არ გვქონია. მართალია, გვარწმუნებენ, რომ ზაფხულია და ფასებმა დაიკლო, მაგრამ, რეალობას თუ გადავხედავთ, ასე არ არის. თავდაპირველად საარსებო მინიმუმი სწორედ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ფასების მიხედვით დავთვალეთ და 385 ლარი გამოგვივიდა. საიდან მოვიტანეთ 315,4 ლარი? – ჩვენ თვითონ გავედით ბაზრებზე და მინიმალური ფასების მიხედვით დავიანგარიშეთ, რადგან ადამიანები, რომლებიც საარსებო მინიმუმის ტოლფას შემოსავალზე ცხოვრობენ, ფეშენებლურ სუპერმარკეტებში არ დადიან. ბუნებრივია, ისინი პროდუქტის შესაძენად იაფ ბაზრებში მიდიან. ამიტომ, ჩვენ უშუალოდ მოვახდინეთ ბაზრების კვლევა და დათვლის დროს შევაჭრების კოეფიციენტიც გავითვალისწინეთ. ამ დაკვირვების შემდეგ, მე არ ვფიქრობ, რომ საარსებო მინიმუმის მაჩვენებლის შემცირება სეზონური მოვლენაა“, – ამბობს კრიალაშვილი.

„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მაჩვენებლის სიმცირეს „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრში“ არასწორი მეთოდოლოგიითა და ფასების ლავირებით ხსნიან.

ქეთევან კრიალაშვილი: „როგორც ჩანს, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ზოგიერთი პროდუქტის ფასი არ იციან, ან საარსებო მინიმუმის დათვლისას არ ითვალისწინებენ. ჩვენს მიერ გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის მეტობა, „საქსტატის“ მიერ დადგენილ ოფიციალურ მონაცემთან შედარებით, სასურსათო კალათის ჩამონათვალის მრავალფეროვნებითაა გამოწვეული, რაც ადამიანის შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია. ამიტომ, ქვეყანაში დღეს არსებული მეთოდოლოგია დასახვეწია. შეუძლებელია, საარსებო მინიმუმი, მთელი 11 წლის განმავლობაში მხოლოდ 41 ლარით შეიცვალოს: ასეთია განსხვავება 2014 წლის საარსებო მინიმუმსა და 2003 წლის საარსებო მინიმუმს შორის. ინფლაციის ტემპსაც თუ გავითვალისწინებთ, განსხვავება 2003 წელს დადგენილ საარსებო მინიმუმს, ანუ 101 ლარსა და ახლანდელ 144 ლარს შორის არაადეკვატურია. შებამისად, ეს იწვევს ეჭვს, რომ საარსებო მინიმუმის რაოდენობა რეალობას არ შეესაბამება. **ჩვენი რეკომენდაციაა – მინიმალურ სასურსათო და არასასურსათო კალათებს შორის პროპორცია იყოს 55/45. ეს კალათა მოიცავს 70 დასახელების პროდუქტს, რომელთა დღიური კვებითი ღირებულება 2 500 კილოკალორიას შეადგენს. ამავე დროს, ჩვენმა ორგანიზაციამ არასასურსათო კალათის დათვლაც შეძლო, მივიღეთ არასასურსათო ხარჯები, რომელშიც შედის: ტრანსპორტირება, კომუნიკაცია, კომუნალური გადასახადები, სამოსი, პირველადი ჰიგიენისა და საოჯახო ნივთების ფასი. ბუნებრივია, რომ „საქსტატის“ მიერ დადგენილი 40-45 ლარი ყველა ამ ხარჯისათვის ერთი თვის განმავლობაში სულაც არ არის საკმარისი. არასასურსათო კალათას 100-დან 120 ლარამდე თანხა მაინც სჭირდება.** ამავე დროს, შევისწავლეთ სხვა ქვეყნებში არსებული მოდელებიც: ევროკავშირში პირიქით ხდება – იქ ზოგ ქვეყანაში 30% უკავია სასურსათო ხარჯებს და 70% – არასასურსათოს. ამიტომ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, მინიმალურ ზღვრამდე ჩამოვედით და სწორედ ასე დავადგინეთ პროპორცია – 55/45-ზე. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპისათვის ეს ყველაზე ოპტიმალური ზღვარია“.

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრში“ კილოკალორიების საკითხსაც განსხვავებულად აფასებენ: „ჩვენ ეს საკითხი შევისწავლეთ და გეოგრაფიული არეალიდან, თუ სხვა ქვეყნებში აპრობირებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ექიმებთან, სპეციალისტებთან კონსულტაციის შემდეგ კილოკალორიების რაოდენობა 2500-მდე გავზარდეთ, სწორედ ამის შემდეგ მივიღეთ ჩვენ მიერ გამოანგარიშებული საარსებო მინიმუმი – 315,4 ლარი. ეს უფრო რეალურია, ვიდრე 144,7 ლარი, რომელიც სულაც არ არის არსებობისათვის საკმარისი თანხა. დღეს არსებული მეთოდოლოგია ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს არის შემუშავებული“.

როგორც ქეთევან კრიალაშვილი ამბობს, **თუ ჩვენს ქვეყანაში რეალური საარსებო მინიმუმი დადგინდება, მერე უკვე შეიძლება ვისაუბროთ პენსიისა და სოციალური დახმარების გაზრდაზე, რადგან საარსებო მინიმუმის სწორი დათვლა არის სოციალური პოლიტიკის მთავარი საყრდენი და ორიენტირი.** „რა თქმა უნდა, პენსია და სოციალური დახმარება მყისიერად ვერ გაიზრდება, ამიტომ ჯერ უნდა დადგინდეს, რამდენია რეალური საარსებო მინიმუმი, რომ შემდგომი ნაბიჯები გადაიდგას. დღეს სოციალური დახმარების ძირითადი პაკეტები საარსებო მინიმუმთან არის გატოლებული, თუ ჩვენ გვექნება სხვა რიცხვი და სხვა მონაცემი, სახელმწიფოს მოუწევს ფიქრი იმაზე, რომ ეს პაკეტები საარსებო მინიმუმს გაუტოლდეს. ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მოულოდნელ ცვლილებებს, დღეს თუ 150 ლარია პენსია, ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ 300 ლარი უნდა გახდეს, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვიწევს დაახლოება იმ საარსებო მინიმუმთან, რომელიც რეალურია. სხვათა შორის, ეს დღევანდელი ხელისუფლების საარჩევნო პროგრამაშიც იყო ჩაწერილი, ამიტომ, საარსებო მინიმუმი უნდა გახდეს რეალური, უნდა განისაზღვროს, რამდენია საჭირო იმისათვის, რომ თითოეულმა ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს და ამის შემდეგ უნდა დაიწყოს სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რომ პენსია და სოციალური დახმარება რეალურ საარსებო მინიმუმს დავუახლოვოთ.

აბსურდია, რომ არასასურსათო კალათით გათვალისწინებული 40-43 ლარი ადამიანმა უნდა იკმაროს ტრანსპორტირების, კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯების დასაფარად, პირადი ნივთებისა და მედიკამენტების შესაძენად! საშუალოდ 105 ლარი მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული არასასურსათო კალათაზე, რაც შესაბამისად, საარსებო მინიმუმის რაოდენობასაც გაზრდის. ჩვენ მთავრობას ვთავაზობთ ალტერნატიული მეთოდოლოგიას, რომელიც რეალური საარსებო მინიმუმის განსაზღვრას გაუადვილებს. მართალია, გვპირდებიან, რომ საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი შეიცვლება, მაგრამ ჯერ ამ დაპირების შედეგს ვერ ვხედავთ. ამიტომ, ძალაუნებურად გვიჩნდება კითხვა – ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ, რასაც 2003 წელს 103 ლარით შეიძენდა, იმავე პროდუქტს დღეს 144,7 ლარად შეიძენს?“, – ამბობს ქეთევან კრიალაშვილი.

ხათუნა ჩიგოგიძე

გახსენება

დაჯი გავაშელი

ჩვენო დაჯი, 4 სექტემბერი შენი დაბადების დღეა... ამ დღეს, შენი მეგობრები განსაკუთრებული ტკივილით და მონატრებით გიგონებთ. თავზარდამცემი იყო შენი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან. ერთ წამში გაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე. უეცრად გამოგვეცალე. ცნობა შენი მოულოდნელი და უცნაური სიკვდილის შესახებ ელვისებურად მოედო ჩვენს ქალაქს და სხვა ქვეყნებსაც, სადაც შენ უამრავი უახლოესი ადამიანი გყავდა. ამდენი გულწრფელი და მდუღარე ცრემლი იშვიათობაა.

დარდით და ტკივილით იყო სავსე შენი ცხოვრება, მაგრამ მაინც უსაზღვროდ გიყვარდა ყოველი დღე, ყოველი წუთი. საოცრად გიხაროდა, როცა სადმე მივემგზავრებოდით, გულმოდგინებით ემზადებოდი. მოქალაქეობრივ ვალს იხდიდი ყველას წინაშე. იგონებდი წასულებს, მათ საფლავებს და მათ ოჯახებს სიყვარულით ეხმიანებოდი. ყველაფერზე საკუთარი აზრი გაგაჩნდა, შეკითხვებზე პასუხიც, რომელსაც თავგამოდებით იცავდი. საოცრად თავდადებული და მზრუნველი დედა და მეუღლე იყავი. გამოირჩეოდი პატიოსნებით, ერთგულებით უდიდესი მადლიერების გრძნობით, ღირსებით.

შენი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი პერიოდულად გვაფორიაქებს, დაგტირით, ვიგონებთ შენს გამტანიანობას, მზრუნველობას, თანადგომას.

შენებურად იცხოვრე ჩვენო ლამაზო დაჯი, სწორად, დიდი სურვილებით, მომავლის უდიდესი იმედით, ამიტომაც შენ დავიწყება არ გიწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

ქეთი ორჯონიკიძე, მაია დევდარიანი, ნუნუ პირტახია, დოდო ნაჭყებია, ნელი ვასაძე, მანანა ავალიშვილი, მადონა მგელაძე.

ალეკო ასლანიშვილი, საშა ეჯიბაძე, ანზორ თხილაიშვილი, დენის დავითაშვილი, გია მახარაძე, ლია მიქაია გულითადად თანაუგრძნობენ მეგობარს ირაკლი ნაცვალაძეს მეუღლის, უღირსეულესი ქალბატონის

ციალა ნაცვალაძის

გარდაცვლების გამო. დაკრძალვა 6 IX. მის: ყიფშიძის 14, III სადარბაზო.

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, თემურ ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ვალერი კვარაცხელია, თენგიზ კალანდაძე თანაუგრძნობენ მელორ ტყეშელაშვილს დისწულის

მაყვალა შენგელიას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა აბაშის რაიონის სოფელ გაუწყინარში, 6 IX, 15 სთ.

◎ ინფორმაცია

თბილისიდან არადეკლარირებული ფული გაჰქონდა

„თბილისის აეროპორტის“ საბაჟო გამშვებ პუნქტში 207790 აშშ დოლარის ოდენობით არადეკლარირებული ფული აღმოაჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული თანხა მებაჟე ოფიცერმა საქართველოს მოქალაქის ხ.მ-ს ხელბარგის დათვალიერებისას იპოვა. ხ.მ. თბილისი-სტამბოლის მიმართულებით მგზავრობდა.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, მოქალაქეს სანქციის სახით 3000 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..

ინფორმაცია

2014 წლის 27 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში, მის: ქ. ხონი, თავისუფლების ქუჩა №6, გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის კმ-13-ზე მდ. კუხაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის გზშ-ს ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე:** www.georoad.ge
- **ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მითითებულ საკონტაქტო პირს ლუიზა ბუბაშვილს; ტელ: 595219141 Likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ ჩვენი კარაბადინი

მიზანი — გადარჩენაა

ახალი მიდგომები - საკვერცხეების კიბოს მკურნალობისადმი

ყოველწლიურად ამ დიაგნოზის შესახებ გებულობს 220 ათასზე მეტი ქალი მთელ მსოფლიოში. საკითხი შეეხება საკვერცხეების კიბოს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და მზაკვრულ ონკოლოგიურ დაავადებად ითვლება.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში საშიშ სენთან ბრძოლაში წარმოჩინდა ოპტიმისტური შემობრუნება. სიტყვას ვაძლევთ ჩვენს ექსპერტს, რუსეთის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ნ. ბლოხინის სახელობის რუსეთის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ქიმიათერაპიის განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვერა გორბუნოვას.

საცდელების გამხსნელი

ასე შეიძლებოდა გეწოდებინა ამ დაავადებისთვის მისი აგრესიული და ძნელადამოსაცნობი ხასიათის გამო. საკვერცხეების კიბო დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს უსიმპტომოდ, იგი ხშირად თავს გვახსენებს გვიან სტადიაში, როდესაც სიმსივნე ეხება სხვა ორგანოებსა და ქსოვილებს და პაციენტის გადარჩენის იმედები კატასტროფულად ეცემა. სინამდვილე დაუნდობელია: ქალების 80 პროცენტი, რომლებსაც აქვთ საკვერცხეების კიბო, ექიმების ყურადღების არეში ხვდებიან დაავადების მხოლოდ მე-3-4 სტადიაში.

თუმცა, ასეთი ვარიანტის დროსაც კი სტანდარტული სამკურნალო პრეპარატები და ქირურგიული ოპერაცია არის ეფექტიანი.

საკვერცხეების კიბოთი დაავადებულებისათვის ერთ-ერთი ახალი შესაძლებლობა გახდა ახალი, ანტიანგიოგენური ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც მიზანდასახულობით ბლოკავენ სისხლძარღვებს ავთვისებიან სიმსივნეებში. პრეპარატის მოქმედების შედეგად სიმსივნე კარგავს „საკვებს“, მისი ზრდა წყდება, სიმსივნის უჯრედები იღუპება. სიმსივნის მკურნალობის სხვა ვარიანტებთან კომბინაციაში ასეთი მიდგომა იძლევა ყველაზე საგრძნობ შედეგს, რაც აღიარა რუსეთის ონკოლოგ-ქიმიოთერაპევტთა საზოგადოებამ, რომელმაც ეს პრეპარატები ჩართო არა მხოლოდ იმ ავადმყოფთა მკურნალობის სტანდარტებში, რომლებსაც საკვერცხეების კიბო აქვთ, არამედ ფილტვების, მსხვილი და წვრილი ნაწლავების, სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ზოგიერთი სახეობის კიბოთი დაავადებულებიც.

აი, ოღონდ, ეს რეკომენდაციები უკანასკნელ წლებში ქაღალდზე რჩება. დაფინანსების პრობლემების გამო ჩვენთან ქვეყანაში გაჩნდა სერიოზული სირთულე კიბოსსაწინააღმდეგო თანამედროვე საშუალებების ხელმისაწვდომობის გამო. ამიტომ სპეციალისტები ძირითად ძალისხმევას ახმარენ სახიფათო ონკოლოგიური დაავადების პროფილაქტიკას.

არ გამოგრჩეს!

საკვერცხეების კიბოს გამოთვლა ადრეულ სტადიაში ძალიან რთულია, თუმცა, შესაძლებელი. მთავარია — რეგულარულად გაიარო გამოკვლევა გინეკოლოგთან. ვიწრო მენჯის ულტრაბგერითი გამოკვლევა — ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. დავადასტუროთ ან უარვყოთ ექიმის ეჭვი — დაგვეხმარება ასევე სპეციალური ანალიზი საკვერცხეების კიბოს ონკომარკერზე (ცილა, რომელიც გამოიყოფა სისხლში სიმსივნის უჯრედებიდან) — CA-125. ამ გამოკვლევების გავლა აუცილებელია იმ ქალებისათვის, ვისაც:

- **აწუხებს საკვერცხეების ქრონიკული დაავადებანი;**
- **გადაიტანა საკვერცხეების კეთილთვისებიანი ახალწარმოქმნათა ოპერაციები;**
- **აქვს მემკვიდრეობითი მიდრეკილება საკვერცხეების კიბოსადმი, რაზეც შეიძლება მიუთითოს გვარში არა მხოლოდ იმ ქალების ყოფნით, რომლებიც ამ ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალნენ, არამედ მუტაციებიც გარკვეული გენებში, რომლის განსაზღვრაშიც სპეციალური ანალიზი დაგვეხმარება.**

სხვათა შორის, სწორედ ამ ვითარებამ უბიძგა ჰოლივუდელ ვარსკვლავს ანჯელა ჯოლის, ვისი დედაც საკვერცხეების კიბოთი გარდაიცვალა, დეიდა კი — მკერდის კიბოთი, ამოეჭრა სარძევე ჯირკვლები. მალე კი მსახიობი აპირებს გათავისუფლდეს საკვერცხეებისგანაც.

პროფილაქტიკური ოვარიექტომიისადმი (ერთი ან ორივე საკვერცხის ამოღება) სპეციალისტებს დამოკიდედულება ერთნაირი არა აქვთ. ერთი მხრივ, იმ ქალებისთვის, ვისაც აქვს საკვერცხეების კიბოს მაღალი რისკი და შეასრულეს შვილების გაჩენის თავიანთი ფუნქცია, ასეთი ნაბიჯი გამართლებულად მიაჩნიათ. მეორე მხრივ — არის აზრი, რომ მობერებული საკვერცხეები კი აგრძელებენ იმ ჰორმონების გამოყოფას, რომლებიც იცავენ ქალებს ოსტეოპოროზისაგან, გულ-სისხლძარღვთა და სხვა დაავადებებისაგან. თანაც, ზოგჯერ პროფილაქტიკური ოვარიექტომიის შემდეგ სიმსივნემ შეიძლება დააზიანოს ვიწრო მენჯი და მუცლის ღრუ.

სპეციალისტები დარწმუნებული არიან: უმჯობესია, უბრალოდ თვალყური ვადევნოთ ჩვენ ჯანმრთელობას. საკვერცხეების კიბოს დროული დიაგნოსტიკის დროს შესაძლებელია არა მხოლოდ სრული განკურნება, არამედ ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნებაც.

რეკლამა
299-62-77; 568 82-09-84.

◎ იცოდით?

მარილი ციფრებსა და ფაქტებში

სუფრის მარილი — ესაა ნატრიუმის ქლორიდი, NaGL; **მას უწოდებენ ასევე ქვის მარილს, საჭმელ მარილს.**

5 გრამი მარილი — ფიზიოლოგიური ნორმაა ერთი ადამიანისთვის დღეში. თუმცა, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთი საშუალო მცხოვრები დღეში დაახლოებით 10 გრამ მარილს მოიხმარს.

ქლორის იონი მარილში ძირითადი მასალაა მარილმჟავას გამოსამუშავებლად, რომელიც კუჭის წვენის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ნატრიუმის იონები კი სხვა ელემენტების იონებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ ნერვული იმპულსების გადაცემაში, კუნთოვანი ბოჭკოების შემცირებაში, ამიტომ მის კონცენტრაციას ორგანიზმში საერთო სისუსტესთან, გაზრდილ გადაღლილობასთან და სხვა ნერვულ-კუნთოვან მოშლილობასთან მივყავართ.

მარილის უკმარისობამ შეიძლება ძვლისა და კუნთოვანი ქსოვილების დანგრევასთან, ნერვულ და ფსიქიკურ დაავადებებთან, საჭმლის მონელების და გულ-სისხლძარღვთა დარღვევასთან მივგიყვანოს.

არა უმეტეს 10-11 დღე-ღამისა შეიძლება, გაძლოს ადამიანმა დიეტაზე მარილის სრულიად გამოუყენებლობის შემთხვევაში.

10-15 პროცენტი — მარილის ასეთი კონცენტრაცია პროდუქტებში თავიდან გვაცილებს მათში ლპობის ბაქტერიების განვითარებას, ამიტომ მარილს ფართოდ იყენებენ კონსერვანტის სახით.

მარილის უკმარისობის ნიშნებია თავის ტკივილი და სისუსტე, თავბრუსხვევა, გულის რევა.

სუფრის მარილი დიდი ოდენობით საწამლავია — ლეტალური დოზა 100-ჯერ აჭარბებს მოხმარების სადღეღამისო ნორმას და სხეულის მასის 1 კილოგრამზე 3 გრამს შეადგენს, ესე იგი 80 კილოგრამის წონის ადამიანისთვის სასიკვდილო დოზა 240 გრამია.

შუა საუკუნეებში მარილი ისეთი ძვირი იყო, რომ მას ზოგჯერ თეთრ ოქროსაც უწოდებდნენ.

ჭირდა მისი მოპოვება-დამზადება საქართველოშიც, იგი ქვეყნის გარედან შემოჰქონდათ. ყველას ახსოვს პოპულარული ქართული სიმღერა:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან, ბროლისაო...“

მოპოვებული მარილის მხოლოდ 6 პროცენტი გამოიყენება კვებისათვის, 17 პროცენტს იყენებენ ქუჩებში მოსაყრელად ყინვის დროს.

ყველაზე ძველი მარილსახდელი ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბულგარეთის შავი ზღის სანაპირო-ზე პროვადია-სოლნიცატის დასახლებაში. ჩვენს ერამდე IV ათასწლეულის შუა პერიოდიდან ეს იყო სუფრის მარილის წარმოების დიდი ცენტრი.

არსებობს მარილის უამრავი ეგზოტიკური სახე: შებოლილი ფრანგული, პერუს ვარდისფერი, ჰიმალაის ვარდისფერი ქვის...

ზოგიერთ რესტორანში (მაგალითად, ტაილანდის კურორტ ფხუკეტში) არსებობს სპეციალობაც კი — „მარილის სომელიე“.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მიხო, როგორ შეიძლება ბიძასთან ასე ლაპარაკი? იგი ხომ შენზე ბევრად უფროსია!

— აბა, როგორ შეიძლება?

— როგორ და, წადი შენი დედაცო კი არ უნდა უთხრა, არამედ წადით თქვენი დედაცო!

* * *

— აჰა, ასე, არა?! — ეუბნება ბიჭი გოგოს, — მე შენ ყოველ ღამეს კოშმარულ სიზმრებში მოგელანდები! კოშმარულ ეროტიკულ სიზმრებში!

* * *

იგი იმდენად მორცხვი იყო, რომ როდესაც ქალს მზერით ხდიდა ტანსაცმელს, მუდამ შუქს აქრობდა.

* * *

თეთრკანიანი ტურისტები, რომლებიც აფრიკის მდინარეში ბანაობენ, თარჯიმანს ეკითხებიან:

— რას განიხილავენ ასე ხმამაღლა აბორიგენები? და რად გამოფენილა მთელი სოფელი მდინარის პირას?

— ისინი თქვენ გამო კი არ ყაყანებენ, არამედ ის უკვირთ, ასე რამ გააზარმაცა დღეს ნიანგები.

* * *

სინამდვილეში სიკვდილის შემდეგ ყველანი ერთ ადგილას ვხვდებით. უბრალოდ ოპტიმისტები მას სამოთხედ მიიჩნევენ, პესიმისტები კი — ჯოჯოხეთად.

* * *

— მოგწონვართ? — ეკითხება ქალი კაცს.

— ჰო, თქვენ ძლიერი პროფესიონალი, კარგი და ყურადღებიანი ამხანაგი, საინტერესო თანამოსაუბრე ხართ.

— ესე იგი, არ მოგწონვართ...

* * *

კვდება მოხუცი ებრაელი. საწოლთან მისი ნათესავები დგანან.

— ჩემო, ძვირფასებო, ანდერძის დატოვება მინდა, აიღეთ ფურცელი და ჩაიწერეთ:

სონას, ჩემს მეუღლეს, ჩემთან ერთად ამდენი რომ იწვალა, 50 ათასს ვუტოვებ.

მოსეს, ჩემს ვაჟს, 30 ათასს ვუანდერძებ.

ფონიას, ჩემს უმცროს გოგოს...

— მამი, რატომ გაჩერდი?

— ვფიქრობ,

— რაზე ფიქრობთ?

— რაზე და, იმაზე ვფიქრობ, სად ვიშოვო ამდენი ფული.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24